



ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
ფინანსები და საბანკო საქმე

ლევან ყიფიანი

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების დინამიკა და პერსპექტივები

*სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად*

მეცნიერ - ხელმძღვანელი: ე.ა.დ. პროფ.ე. ჯგერენაია

თბილისი

2019

ანოტაცია

აქტუალურობა. საქართველოში საბიუჯეტო სფეროში, წლების მანძილზე დაგროვილმა პრობლემებმა, განსაკუთრებული სიმწვავეით იჩინა თავი, თანამედროვე ეკონომიკური გამოწვევებისა და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ფონზე. აღნიშნულიდან გამომდინარე დღეისათვის, სახელმწიფოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას, ქვეყნის ეკონომიკის სტაბილურობის შენარჩუნება და მისი განვითარების სამომავლო პერსპექტივების განსაზღვრა წარმოადგენს. ნებისმიერი სახელმწიფოს ფუნქციონირების საფუძველი ეკონომიკის მდგრადი განვითარებაა, რისთვისაც აუცილებელია შესაბამისი საბიუჯეტო სისტემის ფორმირება და მყარი ფინანსური ბაზის შექმნა. ამასთან სახელმწიფო ბიუჯეტი ქვეყნის ფინანსური რესურსების მობილიზაციის მთავარი ინსტრუმენტია, რომლის ეფექტიან ფუნქციონირებაზეც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მთლიანად საბიუჯეტო სისტემის ფუნქციონირება.

კვლევის მიზანი და ძირითადი ამოცანები – სამაგისტრო ნაშრომის ძირითადი მიზანია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების ფორმირების თავისებურებების შესწავლა, მასზე მოქმედი ფაქტორების გამოვლენა და სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების სრულყოფის მიმართულობების განსაზღვრა.

კვლევის ობიექტი და საგანი – სამაგისტრო ნაშრომის კვლევის ობიექტია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი, ხოლო კვლევის საგანია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები.

სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა. სამაგისტრო ნაშრომი მოიცავს 80 გვერდს. შედგება შესავლის, სამი თავისა და ექვსი პარაგრაფისაგან, თან ერთვის დასკვნა და გამოყენებული წყაროების დასახელება.

annotation

Levan Kipiani

"Dynamics and Perspectives of State Budget Revenues"

The actuality of the Master's Thesis - Budgeting in Georgia, the problems accumulated over the years have been exacerbated by modern economic challenges and the global economic crisis. From this point of view, one of the most important tasks of the state is the preservation of the stability of the country's economy and the future prospects of its development. The foundation for the functioning of any state is the sustainable development of the economy, for which it is necessary to form a budgetary system and create a solid financial base. Besides, the state budget is the main instrument for mobilizing financial resources of the country, which is dependent on the efficient functioning of the entire budget system.

The purpose of the research and the main tasks - the main goal of the course work is to study the peculiarities of formation of the state budget revenues, identify the factors affecting it and determine the directions of improvement of state budget revenues.

Object of Research and Subject - The study of the Master's thesis is the state budget of Georgia, and the subject of research is the revenue of the state budget.

Structure of Master's Thesis - Master's thesis includes 80 pages. It consists of the conclusion, three chapters and six paragraphs, concludes the conclusion and the name of the sources used.

სარჩევი

ანოტაცია ქართულ ენაზე.....	
ანოტაცია ინგლისურ ენაზე.....	
შესავალი.....	5
თავი 1. ბიუჯეტის შემოსულობები და ფორმირების წყაროები.....	8
1.1 საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი და მისი ფისკალური ბალანსი	8
1.2 ბიუჯეტის შემოსულობების ფორმირების წყაროები.....	17
თავი 2. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების დინამიკა და ანალიზი	24
2.1 სახელმწიფო ბიუჯეტის მიმდინარე შემოსავლების დინამიკა და ანალიზი 2010 - 2018 წ.წ.....	24
2.2 არაფინანსური და ფინანსური აქტივების კლებისა და ვალდებულებების ზრდის შედეგად მიღებული შემოსავლების შეფასება და ანალიზი	40
თავი 3. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების სრულყოფის მიმართულებები.....	43
3.1 პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელობა.....	43
3.2 საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების სრულყოფის მიმართულებები	49
დასკვნები და წინადადებები	75
გამოყენებული ლიტერატურის სია.....	80

შესავალი

საბაზრო ეკონომიკის პირობებში სახელმწიფოს პირველი რიგის ამოცანას ეკონომიკის სტაბილიზაცია და სახელმწიფო რეგულირება წარმოადგენს. ამ მიზნით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ისეთი ინსტრუმენტების გამოყენება, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებას, კერძოდ, მშპ-ს ზრდას, რაციონალურ დასაქმებას, ფულად-საკრედიტო სფეროს ეფექტიან განვითარებასა და ინფლაციის რეგულირებას, მოსახლეობის ცხოვრების მაღალ დონეს და ა.შ. ასეთ ინსტრუმენტად უპირველეს ყოვლისა, გვევლინება ფინანსები, კერძოდ, სახელმწიფო ფინანსები. სახელმწიფო ფინანსების ეფექტიანი მართვის ინსტრუმენტს წარმოადგენს ბიუჯეტი.

მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების მიზნით წარმატებით გამოიყენება ისეთი მნიშვნელოვანი ბერკეტები, როგორცაა შემოსავლები და ბიუჯეტის შემოსულობები. თავის მხრივ, ბიუჯეტის შემოსულობების ფორმირების წყაროების სრულყოფა და მისი სწორად გადანაწილება ეკონომიკური განვითარების ეფექტიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია.

თემის აქტუალურობა - საქართველოში საბიუჯეტო სფეროში, წლების მანძილზე დაგროვილმა პრობლემებმა, განსაკუთრებული სიმწვავეით იჩინა თავი, თანამედროვე ეკონომიკური გამოწვევებისა და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ფონზე. აღნიშნულიდან გამომდინარე დღეისათვის, სახელმწიფოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას, ქვეყნის ეკონომიკის სტაბილურობის შენარჩუნება და მისი განვითარების სამომავლო პერსპექტივების განსაზღვრა წარმოადგენს. ნებისმიერი სახელმწიფოს ფუნქციონირების საფუძველი ეკონომიკის მდგრადი განვითარებაა, რისთვისაც აუცილებელია შესაბამისი საბიუჯეტო სისტემის ფორმირება და მყარი ფინანსური ბაზის შექმნა. ამასთან სახელმწიფო ბიუჯეტი ქვეყნის ფინანსური რესურსების მობილიზაციის მთავარი ინსტრუმენტია, რომლის ეფექტიან ფუნქციონირებაზეც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მთლიანად საბიუჯეტო სისტემის ფუნქციონირება. აღნიშნული

გარემოება კიდევ უფრო მეტად აქტუალურს ხდის ამ სფეროში არსებული პრობლემების შესწავლასა და საბიუჯეტო სისტემის ფორმირებისა და ფუნქციონირების სრულყოფის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრას. საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია შევნიშნოთ, რომ ამ პერიოდის გაჭიანურების პარალელურად რთულად იქნა შესაძლებელი ქვეყანაში ისეთი საბიუჯეტო სისტემის ფორმირება, რომელიც უზრუნველყოფდა მასზე დაკისრებული ამოცანების სრულფასოვან შესრულებას, რის გამოც იგი დღეისათვის კვლავ გარკვეული ნაკლოვანებებით ხასიათდება,

საქართველოს ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ტენდენციების განმაპირობებელი ფაქტორების გამოვლენის და მათი რეგულირების მიზნით მნიშვნელოვანია შევავსოთ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი აგრეგატები, კერძოდ კი ბიუჯეტის შემოსულობები და მის ფორმირებაში არსებული პრობლემები და პერსპექტივები. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამჟამად მიმდინარე მსოფლიო ეკონომიკური მოვლენების ფონზე, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საქართველოს ეკონომიკასა და საფინანსო სფეროზე. აღნიშნული საკითხების აქტუალობამ განაპირობა სამაგისტრო ნაშრომის თემის შერჩევა.

კვლევის მიზანი და ძირითადი ამოცანები – სამაგისტრო ნაშრომის ძირითადი მიზანია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების ფორმირების თავისებურებების შესწავლა, მასზე მოქმედი ფაქტორების გამოვლენა და სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების სრულყოფის მიმართულობების განსაზღვრა.

კვლევის ობიექტი და საგანი – სამაგისტრო ნაშრომის კვლევის ობიექტია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი, ხოლო კვლევის საგანია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები.

კვლევის მეთოლოგია და მეთოდიკა – სამაგისტრო ნაშრომის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს სსფ-ის მიერ შემუშავებული სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის 2001 წლის მეთოდოლოგია და სახელმწიფო ფინანსების ანალიზის სტატისტიკური, ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდები და სისტემური მიდგომები, აგრეთვე, უცხოელი და ქართველი მეცნიერების მეცნიერული კვლევები, მეთოდოლოგიური და მეთოდური ხასიათის მონოგრაფიები, სტატიები.

მეცნიერული სიახლე – სსფ-ის მიერ შემუშავებული სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის 2001 წლის მეთოდოლოგიით განსაზღვრული ახალი საბიუჯეტო კლასიფიკაციის საფუძველზე საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების მართვის ეფექტიანობის შეფასება და მისი სრულყოფის დასაბუთებული ღონისძიებების შემუშავება.

ნაშრომის მნიშვნელობა მდგომარეობს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების მართვის პროცესების სრულყოფაში.

თავი 1. ბიუჯეტის შემოსულობები და ფორმირების წყაროები

1.1 საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი და მისი ფისკალური ბალანსი

სახელმწიფო ბიუჯეტი – საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობაა. (საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი: კარი 1, თავი 1, მუხლი 6, პუნქტი ე)

მე-18 საუკუნეში სიტყვა „ბიუჯეტს“ უკვე შეძენილი ჰქონდა თანამედროვე მნიშვნელობა, ანუ მასში იგულისხმებოდა ქვეყანაში წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლებისა და გაწეული ხარჯების რიცხობრივი გამოსახულება. სწორედ აქედან გავრცელდა შემდგომ მთელ მსოფლიოში ეს ცნება. მე-19 საუკუნეში ინგლისის ლორდთა პალატაში, როდესაც ხაზინის კანცლერი მოხსენებით გამოდიოდა, სიმბოლურად წინ ფულით სავსე ტომარა ედო. თუმცა ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო ბიუჯეტი არ უნდა წარმოვიდგინოთ მხოლოდ და მხოლოდ „ტყავის ქისად“, „ტომრად“, ანუ ტყავის გარკვეულ ნაწილად, რომელშიც სახელმწიფოს „შემოსავალ-გასავლის ნუსხის კანონპროექტი იდო, რადგან სიტყვა ბიუჯეტს გაცილებით უფრო დიდი ეკონომიკური შინაარსი გააჩნია, ის არის სახელმწიფოს არსებობის და ეკონომიკის განვითარების საფუძველთა საფუძველი.

ბიუჯეტი განსაზღვრული პერიოდისთვის ქვეყნის შემოსავლების და ხარჯების ძირითადი ფინანსური გეგმაა, რომელსაც კანონის ძალა გააჩნია. მასში აკუმულირებულ ფულად სახსრებს სახელმწიფო თავისი ძირითადი ფუნქციებისა და ამოცანების განსახორციელებლად გამოიყენებს.

საქართველოს საბიუჯეტო სისტემა არის ქვეყნის ბიუჯეტების ერთობლიობა, რომელიც ეფუძნება ადმინისტრაციულ – ტერიტორიულ მოწყობას, ეკონომიკურ ურთიერთობებს და იურიდიულ ნორმებს. ქვეყნის საბიუჯეტო მოწყობაც და საბიუჯეტო სისტემაც განისაზღვრება მისი სახელმწიფოებრივი მოწყობით. შესაბამისად, საბიუჯეტო მოწყობაც არის უნიტარული და ფედერალური.

უნიტარულ სახელმწიფოებში საბიუჯეტო სისტემა ორი რგოლისგან შედგება: ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტებისგან. მათში მთავარ როლს ცენტრალური ანუ სახელმწიფო ბიუჯეტი ასრულებს, რომლის საშუალებითაც მართვის ცენტრალური ორგანოები თავიანთ განკარგულებაში მოაქცევენ ეროვნულ შემოსავალს და გადაანაწილებენ ფინანსური სისტემის მეშვეობით.

თავისი მატერიალური შინაარსით ბიუჯეტი წარმოადგენს ფულადი სახსრების ფონდს, რომელიც იქმნება საზოგადოების განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე. იგი გამოხატავს ფინანსურ ურთიერთობებს ხელისუფლების გადასახდელს შორის, რომელიც მყარდება ერთობლივი ეროვნული პროდუქტის და ეროვნული შემოსავლის განაწილება - გადაანაწილების პროცესში. ბიუჯეტი მეურნეობის დარგებისა და საწარმოთა ფინანსების გეგმებს ემყარება. საბიუჯეტო შემოსულობები და ასიგნებები ბიუჯეტიდან ზოგად მეურნეობის ამა თუ იმ ეტაპზე შეიძლება სწორად იქნეს განსაზღვრული მხოლოდ დასაბუთებული ფინანსური გეგმისა და ხარჯთაღრიცხვის საშუალებით.

ბიუჯეტის მეშვეობით ხორციელდება საკუთრების სხვადასხვა ფორმის მქონე საწარმოთა და ნაწილობრივ, საოჯახო მეურნეობების სახსრების მობილიზაცია, რომლებიც მიემართება ეროვნული მეურნეობისა და სოციალურ-კულტურული ღონისძიებების, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების, სახელმწიფო მმართველობის ორგანოების შენახვის დასაფინანსებლად, აგრეთვე სახელმწიფო ვალის დაფარვისა და მომსახურების უზრუნველსაყოფად.

თანამედროვე გაგებით საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი არის საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობა.¹

ბიუჯეტის არსს ყველაზე კარგად გამოხატავს მის მიერ განხორციელებული ფუნქციები.

¹ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, თავი 1

1) ეროვნული შემოსავლის (ან მშპ-ის) გადანაწილება. ნებისმიერი ქვეყნის ბიუჯეტში თავმოყრილია ფინანსური რესურსებია, რომელიც წარმოადგენს ეკონომიკაში შექმნილი ღირებულების ანუ ეროვნული შემოსავლის (ან მშპ-ის), აგრეთვე, ეროვნული სიმდიდრის ღირებულების ნაწილს.

მოწინავე ქვეყნებში სახელმწიფო ბიუჯეტის მეშვეობით გადანაწილდება მშპ-ის 50-60%, ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში ეს მაჩვენებელი 30-35%-ს აღწევს. საქართველოში იგი 33-35%-ს აღწევს, 20-ე საუკუნის 80-იან წლებამდე დასავლეთის ეკონომიკურად ძლიერ ქვეყნებში მათი სახელმწიფო ბიუჯეტების შემოსავლების 90%-მდე გადასახადების მეშვეობით ამოიღებოდა, რაც იმას ნიშნავს, რომ საბიუჯეტო რესურსების მობილიზაციის ძირითადი წყარო წარმოებაა.

განვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფო ბიუჯეტების სახსრები მიმართულია ისეთი სფეროების განვითარებაზე, როგორცაა: აგროსამრეწველო, სათბობ-ენერგეტიკა, სამხედრო-სამრეწველო, ტრანსპორტი და სხვა. ბიუჯეტი ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკის რაციონალური სტრუქტურის ფორმირებას, დარგობრივი პროპორციების გაუმჯობესებას, სახელმწიფო სახსრების ეფექტიან გამოყენებას. ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში ბიუჯეტური სახსრები, პირველ რიგში, გამოყენებული უნდა იყოს ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნების, მიზნობრივი პროგრამების, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, სოციალური განვითარების, მოსახლეობის ნაკლებად უზრუნველყოფილი ფენების სოციალური დაცვის სისტემის დაფინანსებაზე და ა.შ.

2) ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება და სტიმულირება. საბიუჯეტო გადასახადებისა და გადასახდელების საშუალებით ნებისმიერი ქვეყნის ბიუჯეტი ეკონომიკისა და ინვესტიციების რეგულირებისა და სტიმულირების, წარმოების ეფექტიანობის ამაღლების მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს. დასავლეთის ქვეყნები ეკონომიკის რეგულირების და სტიმულირების მიზნით, ანუ ინვესტიციების სახით ქვეყნის ბიუჯეტების გადასახდელების 20-25%-ზე მეტს ხარჯავენ. სხვა დადებით შედეგთან ერთად, ასეთი ხარჯების ეფექტად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ ისინი უზრუნველყოფენ საბიუჯეტო ასიგნებების დაფინანსებას მომავალში. წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც სპეციალისტები აფასებენ, მომავალში გასაწევი ხარჯები 10-15%-

ით გაუსწრებს წინ ბიუჯეტში ამოსაღებ ფინანსურ რესურსებს. სახელმწიფო, საინვესტიციო პოლიტიკით, ამცირებს უმუშევრობას და ზრდის მშრომელთა რეალურ შემოსავლებს, ინფრასტრუქტურის განვითარებით კი ხელს უწყობს წარმოების ხარჯების შემცირებას, კერძო კაპიტალის დაგროვებას, ჩქარდება კაპიტალის ბრუნვალობა. შედეგად, იზრდება მოგების ნორმა, რაც ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს.

მნიშვნელოვანი ფინანსური ინსტრუმენტი, რომლითაც ხელისუფლებას ეკონომიკურ პროცესებზე სწრაფი რეაგირება შეუძლია, არის სახელმწიფო ვალდებულების აღება და ფინანსური აქტივების გაზრდა, რომლითაც ხელისუფლება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სასესხო კაპიტალის ბაზარზე საკრედიტო რესურსების გაძვირების ან გაიაფების თვალსაზრისით.

კაპიტალის ბაზარზე ხელისუფლების მიზანი უნდა იყოს არა მხოლოდ ბიუჯეტის შემოსულობების ნაკლებობის კომპენსაცია, არამედ იმ პირობების რაციონალიზაცია, რომელიც მოცემული მომენტისთვის მისაღები იქნება სამეურნეო სუბიექტებისა და ეკონომიკური პროცესების დასარეგულირებლად. ხელისუფლება შეიძლება გამოვიდეს როგორც გამსესხებლის, ისე მსესხებლის როლში გამომდინარე იქიდან თუ რა ფისკალური ან ეკონომიკური მიზნები ექნება მას: ბიუჯეტის შემოსულობების ნაკლებობის კომპენსაცია თუ მიმოქცევიდან ჭარბი ფულის ამოღება, ეკონომიკური ზრდის დაჩქარება თუ პირიქით, ინფლაციური პროცესების დარეგულირება და ა.შ.

3) სოციალური პოლიტიკის ფინანსური უზრუნველყოფა. განვითარებული ქვეყნების სახელმწიფო ბიუჯეტების ფინანსური რესურსების დიდი ნაწილი იხარჯება სახელმწიფოს სოციალური ფუნქციების შესასრულებლად. განვითარებადი ქვეყნების სოციალური პოლიტიკის პრიორიტეტებს მოსახლეობის სოციალურად ნაკლებად დაცული ფენების (პენსიონერები, ინვალიდები, სტუდენტები, ნაკლებად უზრუნველყოფილი ოჯახები და ა.შ.), აგრეთვე, განათლების, ჯანმრთელობის და კულტურის სფეროს ორგანიზაცია-დაწესებულებებისა და საბინაო პრობლემების გადაწყვეტის მხარდაჭერა და მთლიანად არასაწარმოო სფეროს ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა წარმოადგენს.

4) ცენტრალიზებული ფულადი ფონდების ფორმირებასა და გამოყენებაზე კონტროლი. საბიუჯეტო დაგეგმვისა და აღსრულების პროცესში ხორციელდება ქვეყნის ეკონომიკის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაზე კონტროლი.

სახელმწიფო ბიუჯეტი არის საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების კომპეტენციას მიკუთვნებული დონისძიებების ფინანსური გეგმა, რომელსაც ყოველწლიურად საქართველოს მთავრობის წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი.

ბიუჯეტის შედგენა ხდება საქართველოს მთავრობის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტისა და სამინისტროების სტრატეგიების საფუძველზე.

სახელმწიფოს ეკონომიკური ძლიერება თუ სისუსტე დამოკიდებულია იმ ეკონომიკურ პოლიტიკაზე, რომელსაც მთავრობა ახორციელებს გარკვეული ისტორიული მონაკვეთის ფარგლებში.

ეკონომიკაში არსებული აღმასვლისა და ნაკლოვანებების გამოვლენა უმთავრესად ხორციელდება სწორედ შემოსულობების აკუმულაციისა და სახსრების ხარჯვის დროს. ამიტომ ეს გარემოება უნდა წარმოადგენდეს საფუძველს და სტიმულს იმისათვის, რომ ჩვენს ქვეყანას ჰქონდეს სტაბილურად ზრდადი, უდეფიციტო ბიუჯეტი, რადგან სწორედ ასეთი ბიუჯეტი არის ქვეყნის ეკონომიკის სიძლიერის მაჩვენებელი და ამავე დროს მტკიცე გარანტი, ხოლო ზრდადი დეფიციტური და უძლური ბიუჯეტი მიგვიყვანს ქვეყნის ეკონომიკის დასამარებამდე, რაც საბოლოო ჯამში საფრთხეს შეუქმნის ქვეყნის პოლიტიკას, კულტურას და მის იმიჯს მსოფლიო მასშტაბით.

ეკონომიკის განვითარების არცთუ მაღალი დონის ქვეყნებისთვის, მათ შორის საქართველოსთვის, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სწორი საბიუჯეტო პოლიტიკის შემუშავება-განხორციელებას. რამდენადაც მთავრობის ერთობლივი შემოსავლები ყოველთვის ტოლი უნდა იყოს ერთობლივი გადასახდელებისა, ბიუჯეტის მართვის პოლიტიკის, ანუ ფისკალური პოლიტიკის უპირველეს მიზანს წარმოადგენს სახელმწიფოს საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახდელების შესაბამისი შემოსულობებით დაბალანსება ანუ ფისკალური ბალანსის უზრუნველყოფა, სახელმწიფო ხარჯებისა და გადასახადების რეგულირება, პროდუქციის გამოშვებისა და

დასაქმების ციკლური რყევების აღმოფხვრა, ფასების დონის სტაბილიზაცია და ეკონომიკური ზრდის სტიმულირება.

ბიუჯეტის როლის შეფასება ქვეყნის ეკონომიკის სტაბილიზაციის საქმეში, წარმოდგენილია ფისკალური პოლიტიკის განხილვის გარეშე. ფისკალური პოლიტიკა სახელმწიფოს მიერ გადასახადების, სამთავრობო გადასახადებისა და ბიუჯეტის დეფიციტის მანიპულირების გზით ფინანსური რესურსების ეფექტიან მობილიზაციასა და რაციონალურ გამოყენებას გულისხმობს. მისი ეფექტიანობა ვლინდება, უპირველეს ყოვლისა, ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის ტემპებში.

ფისკალურ პოლიტიკას თავისი ინსტრუმენტები გააჩნია, რომელთაგან აღსანიშნავია: სხვადასხვა სახის გადასახადებით მანიპულირება, საგადასახადო შეღავათების და საგადასახადო განაკვეთების ცვლილებება. უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ეფექტური საგადასახადო პოლიტიკის გატარებას, მისი სწორი მიმართულებით წარმართვას, რაც, თავის მხრივ, მაქსიმალურად შეამცირებს ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისის წარმოშობის რისკს.

საქართველოს ფისკალური სისტემა, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტი, მხოლოდ რამდენიმე წელს ითვლის და ამ მოკლე ხანში მნიშვნელოვანი სასიკეთო ცვლილებები განიცადა, კერძოდ: ჩამოყალიბდა საგადასახადო კანონმდებლობა, დაიხვეწა ბიუჯეტის შედგენის, განხილვა-დამტკიცების და შესრულების კონტროლის მექანიზმი. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ საქართველოს ახალი საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, მუშავდება პროგრამული და კაპიტალური ბიუჯეტები, რომელიც გვაძლევს შესაძლებლობას განვსაზღვროთ მხარჯავი დაწესებულების მიერ დასახული პრიორიტეტების მისაღწევად განსახორციელებელი პროგრამების, პროექტების, ღონისძიებებისა და მათი ბიუჯეტების მოსალოდნელი შედეგებისა და შეფასების ინდიკატორთა ერთობლიობა.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2010 წლის 25 აგვისტოს #672 ბრძანებით 2010 წლის 06 სექტემბრიდან ამოქმედდა ახალი საბიუჯეტო კლასიფიკაცია. იგი შედგენილია სსფ მიერ შემუშავებული სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის 2001 წლის მეთოდოლოგიის საფუძველზე.

”საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის”, თანახმად საბიუჯეტო კლასიფიკაცია მოიცავს შემოსავლების, ხარჯების ეკონომიკურ, ხარჯებისა და არაფინანსური აქტივებით ოპერაციების ფუნქციონალურ, არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციებს, ასევე ორგანიზაციულ კლასიფიკაციას.

ორგანიზაციული კლასიფიკაცია, თავის მხრივ, მოიცავს გადასახდელებს ორგანიზაციების, პროგრამებისა და ღონისძიებების მიხედვით, რომელიც განისაზღვრება ბიუჯეტით.

საბიუჯეტო კლასიფიკაციას, გარდა ორგანიზაციული კლასიფიკაციისა, საქართველოს კონტროლის პალატასთან კონსულტაციებისა და საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან შეთანხმების საფუძველზე ამტკიცებს მინისტრი.

ახალი საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიზანია საბიუჯეტო აღრიცხვის მანამდე მოქმედი საკასო მეთოდიდან დარიცხვის მეთოდზე გადასვლა, ასევე, ბიუჯეტთან დაკავშირებული ყველა ფინანსური, არაფინანსური და სახელმწიფო ვალდებულებებთან დაკავშირებული ოპერაციების აღრიცხვა. გარდა ამისა, ცვლილებებია როგორც შემოსავლების, ისე ხარჯების მუხლობრივ შედგენილობაში, ამ მუხლების შინაარსებში. შესაბამისად მნიშვნელოვანი ცვლილებები შედის ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების წყაროების მიხედვით სტრუქტურაში.

ახალი საბიუჯეტო კლასიფიკაციის ფარგლებში სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსი აერთიანებს ხუთ ძირითად ფინანსურ კატეგორიას. ესენია:

1. შემოსავლები;
2. ხარჯები;
3. არაფინანსური აქტივები და მათზე ოპერაციები;
4. ფინანსური აქტივები და მათზე ოპერაციები;
5. სახელმწიფო ვალდებულებები და მათზე ოპერაციები.

საქართველოს . . . წლის სახელმწიფო
ბიუჯეტის ბალანსი

(ათას ლარებში)

დასახელება
	წლის ფაქტი	წლის ფაქტი	წლის გეგმა
შემოსავლები			
ხარჯები			
საოპერაციო სალდო			
არაფინანსური აქტივების ცვლილება			
მთლიანი სალდო			
ფინანსური აქტივების ცვლილება			
ვალდებულების ცვლილება			
ბალანსი			

შემოსავლების და ხარჯების სხვაობა წარმოდგენილია საოპერაციო სალდოს სახით და გვიხასიათებს მათ შორის თანაფარდობას.

შემოსავლები - ხარჯები = საოპერაციო სალდო

საოპერაციო სალდო შეიძლება იყოს დადებითი და უარყოფითი. მის სიდიდეზე, გარკვეულწილად დამოკიდებულია ბიუჯეტის მთლიანი სალდოს ოდენობა, რამდენადაც მთლიანი სალდო არის სხვაობა საოპერაციო სალდოსა და არაფინანსურ

აქტივებს შორის. დადებითი მთლიანი სალდოს შემთხვევაში ადგილი გვაქვს ბიუჯეტის პროფიციტატან, ხოლო უარყოფითი მთლიანი სალდოს შემთხვევაში - ბიუჯეტის დეფიციტთან.

საოპერაციო სალდო - არაფინანსური აქტივების ცვლილება

= მთლიანი სალდო

ფისკალური ბალანსის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ დეფიციტის დაფინანსების, ხოლო პროფიციტის შემთხვევაში მისი არაინფლაციური გზით გამოყენების პირობებში. ბიუჯეტის დეფიციტის დასაფინანსებლად ანუ ფისკალური ბალანსის უზრუნველსაყოფად გამოიყენება ფინანსური აქტივებისა და სახელმწიფო ვალდებულებების ცვლილებების ოდენობები. მთლიანობაში ბიუჯეტის ფისკალური ბალანსი იძენს ასეთ სახეს :

შემოსავლები - ხარჯები = საოპერაციო ბალანსი - არაფინანსური აქტივების ცვლილება = მთლიანი სალდო - ფინანსური აქტივების ცვლილება + ვალდებულებების ცვლილება = 0

ფისკალური ბალანსის ანალიზი მეტად მნიშვნელოვანია, რამდენადაც იგი სრულ წარმოდგენას იძლევა სახელმწიფო სტრუქტურების ფინანსური მდგომარეობის შესახებ, აგრეთვე, იმის შესახებაც თუ როგორ აისახება იგი ფულად - საკრედიტო სფეროზე, შიდა მოთხოვნასა და საგადაამხდელო ბალანსზე.

2010 წლიდან 2018 წლამდე საოპერაციო სალდო მკვეთრ ცვლილებებს განიცდიდა. აღსანიშნავია, რომ 2010 წელს სალდო უარყოფითი იყო, ხოლო 2011 წელს უკვე 618 მილიონი ლარი იყო. საოპერაციო სალდომ მკვეთრი ცვლილება განიცადა 2014 წელს, 2013 წელთან შედარებით. ამ წელს შემოსავლები ხარჯებზე 44 მილიონი ლარით ნაკლები იყო.

ექსპერტთა აზრით, 2011 წელს საოპერაციო სალდო დადებითი იმიტომ არის, რომ პირველ რიგში საგადასახადო შემოსავლები გაიზარდა და თანაც გამკაცრდა ადმინისტრირება.

1.2 ბიუჯეტის შემოსულობების ფორმირების წყაროები

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით დადგენილია, რომ საბიუჯეტო სისტემის თითოეულმა მონაწილემ საბიუჯეტო პროცესის ყველა ეტაპზე უნდა დაიცვას შემდეგი პრინციპები:

1. ყოვლისმომცველობა
2. გამჭვირვალობა
3. ანგარიშვალდებულება
4. დამოუკიდებლობა
5. ერთიანობა
6. უნივერსალობა
7. კონსოლიდირება

ყოვლისმომცველობა გულისხმობს ბიუჯეტის ყველა შემოსულობის, გადასახდელისა და ნაშთის ცვლილების სრულყოფილად ასახვას შესაბამის ბიუჯეტებში. შემოსულობებია საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტში მიღებული ფულადი სახსრების ერთობლიობა. ბიუჯეტის გადასახდელებია საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტიდან გასაცემი ფულადი სახსრების ერთობლიობა. ნაშთის ცვლილება გულისხმობს შესაბამისი ბიუჯეტის ანგარიშზე შესაბამისი პერიოდისათვის არსებული ფულადი სახსრების გამოყენებას ან დაგროვებას. საბიუჯეტო პოლიტიკის ფორმირების პროცესი და ბიუჯეტის ხარჯების მონიტორინგი გამჭვირვალობა გულისხმობს ბიუჯეტების პროექტების წარმომადგენლობით ორგანოებში განხილვის პროცედურების საჯაროობას საზოგადოებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის; დამტკიცებული ბიუჯეტებისა და მათი შესრულების შესახებ ანგარიშების გამოქვეყნებას; ბიუჯეტის შესახებ ინფორმაციის (გარდა საიდუმლო ინფორმაციისა) ხელმისაწვდომობას ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის. ანგარიშვალდებულება გულისხმობს საბიუჯეტო პროცესის ყველა მონაწილის პასუხისმგებლობას მის მიერ განხორციელებულ საქმიანობაზე და ბიუჯეტის შესახებ წარდგენილ ინფორმაციაზე. დამოუკიდებლობა გულისხმობს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის, ავტონომიური რესპუბლიკების

რესპუბლიკური ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დამოუკიდებლობას, რომელსაც უზრუნველყოფს საკუთარი შემოსულობები და ნაშთი, აგრეთვე საკუთარი გადასახდელების დამოუკიდებლად განსაზღვრის უფლებას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ერთიანობა გულისხმობს საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების მიერ საერთო საფუძვლით, ერთიანი საბიუჯეტო კლასიფიკაციით, აღრიცხვის ერთიანი სისტემით და სახელმწიფო ფინანსური კონტროლის ერთიანი პრინციპებით ხელმძღვანელობას. უნივერსალობა გულისხმობს ბიუჯეტის ყველა შემოსულობის მიმართვას საერთო გადასახდელების დასაფინანსებლად. არცერთი შემოსულობა, გარდა დონორების მიერ დაფინანსებული შემოსულობებისა, არ უნდა იქნას მიმართული მიზნობრივად, კონკრეტული გადასახდელის დასაფინანსებლად. კონსოლიდირება გულისხმობს ყველა დონის ბიუჯეტების შემოსულობებისა და გადასახდელების სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემაში მოქცევას, გადასახდელების გადახდას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემის ანგარიშების მართვას სახელმწიფო ხაზინის მიერ და მათ განთავსებას საქართველოს ეროვნულ ბანკში ან/და სხვა საბანკო დაწესებულებებში. საქართველოს ბიუჯეტის ძირითადი პრინციპები შესაბამისობაშია საერთაშორისო ორგანიზაციების მოთხოვნებთან. თუმცა, 2014 წლის ივლისში ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ (OECD – Organization for Economic Cooperation and Development) შეიმუშავა ახალი რეკომენდაციები ბიუჯეტის პრინციპებთან დაკავშირებით. აღნიშნული პრინციპების საქართველოში თანდათანობით დანერგვა საბიუჯეტო პროცესს კიდევ უფრო ეფექტიანს, მიზანმიმართულს და სრულყოფილს გახდის. ამ პრინციპების ნაწილი უკვე შეესაბამება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრულ პრინციპებს. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ შეიმუშავა შემდეგი 10 პრინციპი: 1. ბიუჯეტის მენეჯმენტი უნდა იყოს ნათელი, სანდო და პროგნოზირებადი ფისკალური პოლიტიკის გატარების კუთხით; 2. ბიუჯეტი შესაბამისობაში უნდა იყოს მთავრობის საშუალოვადიან სტრატეგიულ პრიორიტეტებთან; 3. კაპიტალური ბიუჯეტი უნდა

იყოს შესაბამისობაში ქვეყნის განვითარების საჭიროებასთან ხარჯეფექტიანობის კუთხით; საბიუჯეტო პოლიტიკის ფორმირების პროცესი და ბიუჯეტის ხარჯების მონიტორინგი 4. ბიუჯეტის დოკუმენტები უნდა იყოს ღია, გამჭვირვალედახელმისაწვდომი; 5. საბიუჯეტო საკითხებზე დებატები უნდა წარიმართოს საზოგადოების ფართო ჩართულობით; 6. ბიუჯეტი ყოვლისმომცველად, ზუსტად და სანდოდ უნდა ასახავდეს სახელმწიფო ფინანსებს; 7. ბიუჯეტის აღსრულება უნდა იყოს კარგად დაგეგმილი, მართული და შესწავლილი (მონიტორინგი); 8. შეფასება და ფულის ღირებულება (value for money) ინტეგრირებული უნდა იყოს საბიუჯეტო პროცესში; 9. გრძელვადიანი მდგრადობა და სხვა ფისკალური რისკები უნდა იყოს იდენტიფიცირებული, შეფასებული და გონივრულად მართული; 10. საბიუჯეტო პროგნოზების ხარისხი, ფისკალური გეგმები და ბიუჯეტის შესრულება უნდა მოწმდებოდეს გარე შეფასებებით და აუდიტით. ასევე, უნდა გავითვალისწინოთ, რომ განვითარებადი ქვეყნები, განვითარებულებთან შედარებით, მეტი გამოწვევის წინაშე დგანან, რაც აისახება საბიუჯეტო პოლიტიკაზეც.

ხელისუფლების ნებისმიერ დონეზე ბიუჯეტი ასახავს ფულად-ეკონომიკურ ურთიერთობებს, რომელთა არსებობაც განპირობებულია სახელმწიფოს ცენტრალური ხელისუფლების ცენტრალიზებული ფულადი ფონდების შექმნის და გამოყენების პროცესებით. მისი მთავარი წყაროა ქვეყნის ეკონომიკაში ახლადშექმნილი ღირებულება, ანუ ერთობილივი შემოსავალი, ან მშპ, აგრეთვე, ეროვნული სიმდიდრის ღირებულების ნაწილი. სხვა სიტყვებით, ბიუჯეტის საშუალებით სახელმწიფოს ხელში თავს იყრის საკუთრების სხვადასხვა ფორმის მქონე საწარმოთა სახსრები, მოსახლეობის შემოსავლების ნაწილი, სახელმწიფო არაფინანსური და ფინანსური აქტივებთან დაკავშირებული ოპერაციებიდან მიღებული სახსრები, აგრეთვე, სახელმწიფო ვალდებულებების ანუ სესხების (როგორც საშინაო, ისე საგარეო) გზით მიღებული სახსრები. საბიუჯეტო რესურსების გამოყენებას უდიდესი სოციალურ - ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც ეს ფინანსური რესურსები საშუალებას იძლევა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე განხორციელდეს ერთიანი სოციალური, ეკონომიკური და ფინანსური პოლიტიკა.

იმ ფინანსურ რესურსებს, რომლებიც თავს იყრიან ბიუჯეტში და ხმარდება ხელისუფლების ფუნქციების შესასრულებლად საჭირო საქმიანობას, საბიუჯეტო შემოსულობები ეწოდება. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები მოიცავს:

1. შემოსავლებს (მიმდინარე)
2. არაფინანსურ აქტივებთან დაკავშირებული ოპერაციებიდან, კერძოდ, არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებულ შემოსავლებს;
3. ფინანსურ აქტივებთან დაკავშირებული ოპერაციებიდან, კერძოდ, ფინანსური აქტივების კლებიდან მიღებულ შემოსავლებს;
4. ვალდებულებებთან დაკავშირებული ოპერაციებიდან, კერძოდ, ახალი ვალდებულებების აღების შედეგად მიღებულ შემოსავლებს.

ბიუჯეტის შემოსავლები ახალი კლასიფიკაციის მიხედვით მოიცავს მხოლოდ მიმდინარე შემოსავლებს, კერძოდ გამოყოფილია შემდეგი 4 (ოთხი) ძირითადი ჯგუფი:

ა) გადასახადები - გადასახადები შემოსავალზე, მოგებაზე და კაპიტალის ნაზრდზე; გადასახადები ხელფასზე და სამუშაო ძალაზე; გადასახადები ქონებაზე; გადასახადები საქონელსა და მომსახურებაზე; სხვა გადასახადები.

საქართველოში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების 60 – 65 პროცენტი, ხოლო მიმდინარე შემოსავლების 80 – 83 პროცენტი გადასახადებიდან მიღებული შემოსავლებია.

ბ) სოციალური შენატანები - სოციალური დაზღვევის შენატანები; სხვა შენატანები.

ახალი საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით სოციალურ შენატანებში იგულისხმება „სოციალური გადასახადი“, თუმცა საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებით 2008 წლის 1 იანვრიდან აღნიშნული გადასახადი გაუქმებულია. შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტში სოციალური შენატანები პრაქტიკულად არ არის წარმოდგენილი. სოციალური შენატანები მოიცავს სოციალური დაზღვევის შენატანებს და სხვა სოციალურ შენატანებს. სოციალური დაზღვევის შენატანები, რომელიც კლასიფიცირდება შენატანების წყაროს მიხედვით, ამოქმედდება სოციალური დაზღვევის სქემის ამოქმედების პირობებში. რაც შეეხება სხვა

სოციალურ შენატანებს, იგი მოიცავს ფაქტიურ ან დარიცხულ შენატანებს, რომელიც გამიზნულია სოციალური უზრუნველყოფის სქემის დასაფინანსებლად და რომლის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს მთავრობა. სხვა სოციალური შენატანების გადამხდელები არიან: დასაქმებულები ან დამსაქმებლები.

გ) გრანტები - საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები; უცხო ქვეყნის მთავრობებიდან ან მათი წარმომადგენლობიდან მიღებული გრანტები; სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა დონეების ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები

დ) ბიუჯეტის შემოსავლების ფორმირების ერთ-ერთ წყაროს სხვა შემოსავლები წარმოადგენს. იგი მოიცავს: შემოსავლები საკუთრებიდან : საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან; ჯარიმებს; სანქციებს და საურავებს; ნებაყოფლობით ტრანსფერებს გრანტების გარდა; შერეულ და არაკლასიფიცირებულ შემოსავლებს.

საგარეო ფინანსური აქტივებისგან განსხვავებით საშინაო ფინანსური აქტივები მოიცავს კიდევ ერთ ელემენტს, რომელიც საბიუჯეტო ფულადი სახსრების ნაშთს წარმოადგენს. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით, ნაშთი - შესაბამისი ბიუჯეტის ანგარიშზე შესაბამისი პერიოდისათვის არსებული ფულადი სახსრებია. კონკრეტული პერიოდისათვის თუ ადგილი აქვს ნაშთის გამოყენებას, გამოყენებული სახსრების ოდენობა აისახება ფინანსური აქტივების კლებაში, ხოლო თუ ადგილი აქვს ნაშთის ზრდას ანუ დაგროვებას, ზრდის ოდენობა აისახება ფინანსური აქტივების ზრდაში. ნაშთის ზრდის ან კლების მოცულობას ნაშთის ცვლილება ეწოდება. აღნიშნული კანონით განმარტებულია ასევე თავისუფალი ნაშთი, რომელიც წარმოადგენს შესაბამისი ბიუჯეტის ანგარიშზე შესაბამისი პერიოდისათვის არსებული ფულად სახსრებს აკრედიტივების, მიზნობრივი კრედიტებისა და გრანტების ნაშთის გამკლებით.

თავისი მნიშვნელობით და მოცულობით სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების ფორმირების არანაკლებ მნიშვნელოვანი წყაროა სახელმწიფო სესხები ანუ ვალდებულებები. მას ძირითადად მიმართავენ ქვეყნები, რომელთაც ბიუჯეტის დეფიციტი, ანუ უარყოფითი მთლიანი სალდო აქვთ. ძველი კლასიფიკაციით ახალი სახელმწიფო სესხები სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების წყაროებში აისახებოდა. ახალი კლასიფიკაციის მიხედვით, ანუ აღრიცხვის ახალი სისტემით

სახელმწიფო ვალდებულებების ზრდა ანუ ახალი ვალდებულებების აღება შემოსულობების ერთ-ერთ წყაროდ განიხილება. ვალდებულებების შემადგენლობა ფინანსური აქტივების ანალოგიურია. კერძოდ, ვალდებულებები მოიცავს ვალუტასა და დეპოზიტებს, ფასიან ქაღალდებს, გარდა აქციებისა, სადაზღვევო ტექნიკურ რეზერვებს, სესხებს, აქციებსა და სხვა კაპიტალს, წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს, სხვა დებიტორულ ან კრედიტორულ დავალიანებებს.

სახელმწიფო სესხების გავრცელების ორი გზა არსებობს:

1. სახელმწიფო ობლიგაციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების მოსახლეობის ფართო მასებზე თავისუფალი გაყიდვით;
2. სახელმწიფოს ფასიანი ქაღალდების უზრუნველყოფის ქვეშ, ფასიანი ქაღალდების ცენტრალური და კომერციული ბანკების მეშვეობით გაყიდვით.

სახელმწიფოს მიერ საკრედიტო ოპერაციების მოცულობის გადიდება სახელმწიფო ვალის ზრდის წყაროა. ეს კი, თავის მხრივ, მჭირდო კავშირშია გადასახადებთან.

სახელმწიფო სესხებისა და მათი პროცენტების დაფარვას ხელისუფლება ახორციელებს დამატებითი საგადასახადო დაბეგვრის ან ახალი სესხების გამოშვების გზით.

ქვეყანაში საგანგებო სიტუაციის შემთხვევაში, როცა გაძნელებულია გადასახადებიდან და სესხებიდან ფულადი რესურსების მიღება, სახელმწიფო ხელისუფლება მიმართავს ქაღალდის ფულის ემისიას. იმის გამო, რომ ეს მეთოდი იწვევს ინფლაციური პროცესის გაძლიერებას, ქვეყნების დიდ ნაწილში ის დიდი პოპულარულობით არ სარგებლობს.

ბიუჯეტის შემოსულობების შემადგენლობისა და სტრუქტურის ანალიზი საშუალებას იძლევა შევაფასოთ ქვეყნის ხელისუფლების ფინანსური უზრუნველყოფის შესაძლებლობები მისი დაფინანსების წყაროების მიხედვით. ბიუჯეტის შემოსულობების ძირითადი წყარო უნდა იყოს მიმდინარე შემოსავლები, კერძოდ, გადასახადები, რაც მიუთითებს, ერთი მხრივ, ეკონომიკის განვითარების დონეზე, ხოლო მეორე მხრივ, ფისკალური პოლიტიკის ეფექტიანობაზე, ასეთ პირობებში არა მხოლოდ ბიუჯეტის მთლიანი სალდოს ოპტიმალური მოცულობის განსაზღვრის,

არამედ მისი მართვის მეტი შესაძლებლობებიც არსებობს. შედეგად, უზრუნველყოფილი იქნება მყარი ეფექტიანი ფისკალური პოლიტიკის განმსაზღვრელი ისეთი პარამეტრების მიღწევაც, როგორცაა სახელმწიფო ვალის ზრდის ტემპი და მისი მოცულობის ფარდობითი მაჩვენებელი მშპ-ს მიმართ.

თავი 2. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების დინამიკა და ანალიზი

2.1 სახელმწიფო ბიუჯეტის მიმდინარე შემოსავლების დინამიკა და ანალიზი 2010 - 2018 წ.წ.

სახელმწიფოს არსებობა თავისთავად გულისხმობს, რომ მას ეკისრება უამრავი ვალდებულება და ფუნქცია, რომელთა განხორციელება საჭიროებს მატერიალურ უზრუნველყოფას. ბიუჯეტის საშუალებით სახელმწიფოს ხელში თავს იყრის საკუთრების სხვადასხვა ფორმის მქონე საწარმოთა სახსრები, მოსახლეობის შემოსავლების ნაწილი, სახელმწიფო არაფინანსურ და ფინანსურ აქტივებთან დაკავშირებული ოპერაციებიდან მიღებული სახსრები, აგრეთვე, სახელმწიფო ვალდებულებების ანუ სესხების (როგორც საშინაო, ისე საგარეო) გზით მიღებული სახსრები. საბიუჯეტო რესურსების გამოყენებას უდიდესი სოციალურ -ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც ეს ფინანსური რესურსები საშუალებას იძლევა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე განხორციელდეს ერთიანი სოციალური, ეკონომიკური და ფინანსური პოლიტიკა.

სახელმწიფოსათვის ასეთი მატერიალური უზრუნველყოფის გარანტს წარმოადგენს სახელმწიფო შემოსავლები.

სახელმწიფოს მიერ მობილიზებული ფინანსური სახსრების ერთობლიობა ქმნის ბიუჯეტის შემოსულობებს. „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ ბიუჯეტის შემოსულობებს განმარტავს, როგორც საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტში მიღებული ფულადი სახსრების ერთობლიობას.

ბიუჯეტის შემოსულობები მოიცავს:

1. შემოსავლებს, მათ შორის:
 - გადასახადები;
 - გრანტები
 - სხვა შემოსავლები;
2. არაფინანსურ აქტივებს (არაფინანსური აქტივებით ოპერაციებიდან

- მიღებული სახსრები);
3. ფინანსურ აქტივებს (ფინანსური აქტივებით ოპერაციებიდან მიღებული სახსრები, ნაშთის გამოყენების გარდა);
 4. ვალდებულებებს (ვალდებულებების აღების შედეგად მიღებული სახსრები).

ბიუჯეტის შემოსავლები არის სახელმწიფოს ცენტრალიზებული ფინანსური რესურსების ნაწილი, რომელსაც მიმდინარე შემოსავლები ეწოდება.

ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი მატერიალური წყაროა ქვეყნის ეკონომიკაში ახლადშექმნილი ღირებულება ანუ ეროვნული შემოსავალი (მშპ). სახელმწიფო საჭიროებისთვის, როდესაც საკმარისი არ არის ეროვნული შემოსავალი, ქვეყნის ხელისუფლება მიმართავს ეროვნულ სიმდიდრეს. ეროვნული შემოსავლის გადანაწილებისა და ბიუჯეტის შემოსავლების შექმნის ძირითად მეთოდებად სახელმწიფო ხელისუფლება იყენებს გადასახადებს, სესხებს და ფულის ემისიას. მათ შორის თანაფარდობა დამოკიდებულია ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ სიტუაციაზე, ფინანსების მდგომარეობასა და სახელმწიფოს ფინანსურ პოლიტიკაზე.

ჩვენ შევეცადეთ შეგვეჯერებინა ბიუჯეტის შემოსავლების მაჩვენებლები 2010-2018 წ.წ. საფუძველზე. გაგვეჩვენა ბიუჯეტის შემოსავლების სტრუქტურა და მისი დინამიკა აღნიშნული პერიოდის განმავლობაში. ანალიზის განსახორციელებლად დავეყრდენით საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემებს.

საქართველოს 2010-2018 წ.წ. სახელმწიფო
ბიუჯეტის ბალანსი

(მლნ ლარებში)

დასახელება	2010 წლის ფაქტი	2011 წლის ფაქტი	2012 წლის ფაქტი	2013 წლის ფაქტი	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა
შემოსავლები	5,421.4	6,442.3	7,115.3	6,839.5	7,434.6	8,170.4	8,580.0	9,750.3	10,314.2
ხარჯები	5,466.4	5,823.8	6,566.3	6,545.6	7,479.4	8,157.9	8,741.8	9,372.0	9,720.8
საოპერაციო სალდო	(44.9)	618.5	549.0	293.9	(44.8)	12.5	(161.8)	378.3	593.4
არაფინანსური აქტივების ცვლილება	873.4	849.3	648.2	690.1	617.8	392.9	416.1	874.1	1,568.5
მთლიანი სალდო	(918.4)	(230.8)	(99.2)	(396.2)	(662.6)	(380.4)	(577.9)	(495.8)	(975.1)
ფინანსური აქტივების ცვლილება	357.4	337.8	509.6	(172.2)	347.3	560.8	488.6	640.3	251.5
ვალდებულებების ცვლილება	1,275.9	568.6	608.8	224.0	1,009.9	941.2	1,066.5	1,136.1	1,226.6
ბალანსი	-	-	-	-	-	-	-	-	-

როგორც ცხრილი №2-დან ჩანს, 2010-2017 წწ. ბიუჯეტი არის დეფიციტური, 2008 წელს მომხდარმა მოვლენებმა უარყოფითი გავლენა მოახდინა ქვეყნის ბიუჯეტზე, რაც გამოიხატა ბიუჯეტის დეფიციტით. 2008 წელს რუსული აგრესიისა და მსოფლიო კრიზისის შედეგი ყველაზე მწვავედ 2010 წელს გამოვლინდა და ბიუჯეტის დეფიციტმა 918.4 მილიონი ლარი შეადგინა. 2011-2013 წწ. გაიზარდა მიმდინარე შემოსავლები რამაც განაპირობა საოპერაციო სალდოს მაღალი მაჩვენებელი, მაგრამ იმის გამო რომ არაფინანსური აქტივების ზრდისათვის დიდი თანხები იქნა გამოყოფილი ამან გამოიწვია ბიუჯეტის დეფიციტი. შემოსულობების ზრდა როგორც უკვე ავლნიშნეთ განპირობებულია მიმდინარე შემოსავლების ზრდით, რაშიც ყველაზე დიდი ადგილი

² *ცხრილი შედგენილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემთა ბაზაზე დაყრდობით

უკავია გადასახადებს და ვალდებულებების ზრდას, რომელსაც სახელმწიფო იღებს ბიუჯეტის დეფიციტის დასაფინანსებლად. (იხილეთ ცხრილი №3).

ცხრილი №3³

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები
2010-2018წ.წ

მლნ. ლარი

დასახელება	2010 წლის ფაქტი	2011 წლის ფაქტი	2012 წლის ფაქტი	2013 წლის ფაქტი	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი
შემოსულობები	7,081.4	7,447.7	8,003.9	7,717.4	9,157.0	9,891.0	10,374.0	11,618.6	12,440.9
<i>შემოსავლები</i>	<i>5,421.5</i>	<i>6,442.3</i>	<i>7,115.3</i>	<i>6,839.5</i>	<i>7,434.6</i>	<i>8,170.5</i>	<i>8,580.0</i>	<i>9,750.3</i>	<i>10,314.2</i>
<i>არაფინანსური აქტივების კლება</i>	<i>146.8</i>	<i>189.8</i>	<i>80.2</i>	<i>77.5</i>	<i>80.6</i>	<i>287.3</i>	<i>246.3</i>	<i>97.6</i>	<i>60.0</i>
<i>ფინანსური აქტივების კლება</i>	<i>65.9</i>	<i>80.7</i>	<i>60.2</i>	<i>62.5</i>	<i>72.2</i>	<i>71.8</i>	<i>88.7</i>	<i>119.1</i>	<i>80.0</i>
<i>ვალდებულებების ზრდა</i>	<i>1,447.2</i>	<i>734.9</i>	<i>748.2</i>	<i>737.9</i>	<i>1,569.6</i>	<i>1,361.4</i>	<i>1,459.0</i>	<i>1,651.6</i>	<i>1,986.7</i>

სტაბილური ტემპით იზრდება მიმდინარე შემოსავლები მოცემული წლების მიხედვით, თუ არ ჩავთვლით 2013 წელს, როდესაც 3.6 პროცენტის კლება დაფიქსირდა და შემოსავლებმა 7,717.4 მილიონი ლარი შეადგინა. თუ დავაკვირდებით არაფინანსური აქტივების კლებით მიღებული შემოსავლების სტატისტიკას, შევნიშნავთ რომ ყოველწლიურად კლებულობს ეს მაჩვენებელი თუ არ ჩავთვლით 2015-2016 წლებს, რაც ეკონომიკაში კაპიტალის დაგროვებას იწვევს და შესაბამისად იზრდება ეროვნული სიმდიდრე. ვალდებულებების ზრდა სხვადასხვა მიმართულებებით ხასიათდება რაც გამოწვეული არის ეკონომიკის არასტაბილურობით და სხვა გარეშე ფაქტორების ზეგავლენით, რაც საბოლოოდ უარყოფით გავლენას ახდენს ბიუჯეტის მთლიან სალდოზეც, სწორედ ბიუჯეტის დეფიციტის დასაფინანსებლად საჭირო ხდება ვალის აღება.

³ *ცხრილი შედგენილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემთა ბაზაზე დაყრდნობით

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებში 2017 წელს 77.39 %-ით განისაზღვრა გადასახადებიდან მიღებული შემოსავლები, ხოლო 14.20%-ით კი ვალდებულებების ზრდის შედეგად მიღებული შემოსავლები.

ცხრილი №4⁴

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების
წლიური მონაცემები 2010-2018 წ.წ

მლნ. ლარი

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის წლიური შემოსავლები	2010 წლის ფაქტი	2011 წლის ფაქტი	2012 წლის ფაქტი	2013 წლის ფაქტი	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა
შემოსავლები	5,421.5	6,442.3	7,115.3	6,839.5	7,434.6	8,170.4	8,580.0	9,750.3	10,314.2
გადასახადები	4,592.4	5,802.0	6,311.1	6,287.7	6,847.0	7,549.6	7,986.8	8,991.3	9,490.0
გრანტები	471.4	223.1	269.6	238.9	278.7	315.6	296.8	350.6	414.2
სხვა შემოსავლები	357.7	417.2	534.6	312.9	308.9	305.2	296.4	408.4	410.0

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები შედგება: გადასახადების, გრანტების და სხვა შემოსავლებისგან, შემოსავლების ნაწილში ყველაზე დიდი წილი რა თქმა უნდა გადასახადებიდან მიღებულ შემოსავალს უკავია ასევე თუ დავაკვირდებით დინამიკას 2010-2018 წლებში აღსანიშნავია ის გარემოება რომელთაგანაც 2010 წელს 2009 წელთან შედარებით ზრდა მხოლოდ გადასახადებზე საგრძნობლად იმატებს მოდის, ხოლო სხვა შემოსავლები თითქმის 2009 წლის შესაბამისი მაჩვენებლების ტოლია. 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები 2010 წლის მაჩვენებელს 1,020.8 მლნ ლარით აღემატება და 6,442.3 მლნ ლარს შეადგენს, რაც მთლიანი შემოსულობების 86.5%.

⁴ *ცხრილი შედგენილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემთა ბაზაზე დაყრდნობით

თუ არ ჩავთვლით 2013 წელს, რა დროსაც დაფიქსირდა კლება, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები ზრდის ტენდენციით ხასიათდება. რაშიც ყველაზე დიდი ადგილი უჭირავს გადასახადებს.

ეროვნული შემოსავლის გადანაწილების მთავარ მეთოდს გადასახადები წარმოადგენს. მათი მეშვეობით ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტში თავს იყრის შემოსავლების საშუალოდ 67-75%.

2017 წელს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებმა შეადგინა 9,750.3 მილიონ ლარის ოდენობით და მისი მაჩვენებელი 1,170.3 ლარით გაიზარდა 2016 წელთან შედარებით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების ფორმირების ყველაზე მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს გადასახადები.

2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახადების მაჩვენებელი შეადგენს 8,991.3 მლნ ლარს, რაც 2016 წლის შესაბამის მაჩვენებელს 1,004.5 მლნ ლარით აღემატება. გადასახადებიდან მიღებული შემოსავლები სახელმწიფო ბიუჯეტის სულ შემოსულობების 76.2%-ს. 2017 წლის მდგომარეობით, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების ჯამური მაჩვენებელი 9,750 მლნ ლარს და წლიური გეგმის 100.6%-ს (საწყისი გეგმის 103%-ს) შეადგენს, წინა წლის ფაქტობრივ მაჩვენებელს კი 1,170 მლნ ლარით (14%-ით) აღემატება. რაც შეეხება შესრულებას კომპონენტების დონეზე, საგადასახადო შემოსავლების შესრულება უახლოვდება გეგმურ მაჩვენებელს და მცირედი(6%) დადებითი გადახრებით ხასიათდება სხვა შემოსავლების, ასევე გრანტების კომპონენტები, თუმცა გრანტებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული (19 მლნ ლარის ოდენობით) გადაჭარბება დაკავშირებულია იმ გარემოებასთან, რომ საინვესტიციო და ბიუჯეტის მხარდამჭერი გრანტების გარდა (რომელთაგან ბიუჯეტის მხარდამჭერი გრანტები შესრულების დაბალი დონით გამოირჩევა და შეადგენს გეგმური მაჩვენებლის 40%-ს), ამ მუხლში აისახა სსიპ-ების ანგარიშებზე განთავსებული თავისუფალი ნაშთის ნაწილი 61 მლნ ლარის ოდენობით და 69 მლნ ლარი საბიუჯეტო ორგანიზაციებზე დონორების მიერ გამოყოფილი მიზნობრივი დანიშნულების გრანტების სახით.

საგადასახადო შემოსავლების სახით 2018 წელს მობილიზებულ იქნა 9,696 მლნ ლარი, რაც საწყისი გეგმის მაჩვენებელს 206 მლნ ლარით აჭარბებს (102%), ხოლო დეკემბრის ცვლილებით განსაზღვრულ სიდიდეს - თითქმის უტოლდება (აღემატება 6 მლნ ლარით). საგადასახადო შემოსავლების ცალკეული სახეების მიხედვით (სხვა გადასახადების გარდა) საბოლოო გეგმური მაჩვენებლებიდან არსებითი გადახრები არ ვლინდება (გადასახადების შესრულების მაჩვენებლები მერყეობს 99.5%-დან - 104.9%-ის ფარგლებში): გეგმასთან შედარებით მცირედი გადაჭარბება ვლინდება საშემოსავლო და აქციზის გადასახადებისათვის (შესაბამისად, 38 მლნ ლარისა და 26 მლნ ლარის ოდენობით). გეგმური მაჩვენებლისაგან მნიშვნელოვანი უარყოფითი გადახრით ხასიათდება სხვა გადასახადების შესრულების მაჩვენებელი, რაც შესაძლოა უკავშირდებოდეს, 2016 წელს სახაზინო კოდეხის სისტემაში განხორციელებული რეფორმიდან³ გამომდინარე, სხვა გადასახადების გეგმური მაჩვენებლის განსაზღვრის სირთულეს (2018 წელს სხვა გადასახადების გეგმური მოცულობა განისაზღვრა 170 მლნ ლარით, თუმცა ფაქტობრივად მიღებულ იქნა 115 მლნ ლარი). საგადასახადო შემოსავლების შესრულების მდგომარეობა საწყის გეგმურ მაჩვენებლებთან მიმართებით მცირედით განსხვავებულია: პროცენტულად გეგმურ მაჩვენებელთან შედარებით დიდი გადახრა ვლინდება მოგებისა და იმპორტის გადასახადებისათვის (რომელთა შესრულებაც საწყისი გეგმის, შესაბამისად, 117%-სა და 122%-ს შეადგენს). საგადასახადო შემოსავლების ცალკეული სახეების მობილიზების მდგომარეობა საწყისი გეგმით და დეკემბრის წლიური გეგმით გათვალისწინებულ მაჩვენებლებთან მიმართებაში.

რაც შეეხება დინამიკას 2017 წელთან მიმართებაში, საგადასახადო შემოსავლების ზრდის ტემპი 7.8%-ს, ხოლო ნომინალურ გამოსახულებაში ზრდა - 705 მლნ ლარს შეადგენს. აღნიშნული ზრდა ძირითადად განპირობებულია დღგ-ს (304 მლნ ლარით) და საშემოსავლო გადასახადის (352 მლნ ლარით) მატებით გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებლებთან მიმართებით. რაც შეეხება მოგების გადასახადს, აღნიშნული მიმართულებით მიღებული თანხები მცირედით (2.6%-ით, 20 მლნ ლარით) ჩამორჩება წინა წლის მაჩვენებელს, რაც უკავშირდება 2017 წელს მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი წესის ამოქმედებას, რომლის მიხედვითაც იბეგრება მხოლოდ განაწილებული მოგება.

საგადასახადო შემოსავლების მობილიზების თვალსაზრისით ზრდის ტენდენცია შეინიშნება 2010 – 2018 წ.წ-ში, რადგან ბიუჯეტში მობილიზებულმა თანხამ შესაბამისად 4,592.4, 5,802.0, 6,311.1, 6,287.7, 6,847.0, 7,549.6, 7,986.8, 8,991.3, 9,490.0 მილიონი ლარი შეადგინა.

ცხრილი № 5⁵

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახადებიდან მიღებული შემოსავლები გადასახადების სახეების მიხედვით
2015-2018 წ.წ.

ათასი ლარი

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა
გადასახადები	7,549,609	7,986,750	8,991,307	9,490,000
საშემოსავლო გადასახადი	2,052,389	1,978,136	2,525,971	2,780,000
მოგების გადასახადი	1,025,229	1,055,937	756,556	630,000
დამატებული ღირებულების გადასახადი	3,505,455	3,286,393	4,122,613	4,400,000
აქციზი	870,732	1,069,658	1,450,922	1,450,000
იმპორტის გადასახადი	69,294	70,041	71,619	60,000
სხვა გადასახადები	26,512	526,585	63,628	170,000

საგადასახადო შემოსავლები სახით 2017 წელს მობილიზებულ იქნა 8,991 მლნ. ლარი, რაც საწყისი გეგმის მაჩვენებელს 171 მლნ ლარით აჭარბებს (102%) და უტოლდება დეკემბრის ცვლილებით განსაზღვრულ სიდიდეს (აღემატება 11 მლნ ლარით).

საგადასახადო შემოსავლების ცალკეული სახეების მიხედვით საბოლოო გეგმური მაჩვენებლებიდან არსებითი გადახრები (სხვა გადასახადების გარდა) არ ვლინდება:

⁵ *ცხრილი შედგენილია საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მონაცემთა ბაზაზე დაყრდნობით

შედარებით დიდი დადებითი გადახრით ხასიათდება დღგ (103%, 102.6 მლნ ლარი) იმპორტის გადასახადი (110%, 6.6 მლნ ლარი). %-ულად გეგმურ მაჩვენებელთან მცირედი გადაჭარბება ვლინდება მოგებისა და აქციზის გადასახადებისათვის (რომელთა შესრულებაც წლიური გეგმის, შესაბამისად, 102%-სა და 101%-ს შეადგენს), ხოლო საშემოსავლო გადასახადის შესრულება გეგმური მაჩვენებლის 99%-ს შეადგენს. გეგმური მაჩვენებლისაგან მნიშვნელოვანი უარყოფითი გადახრა, რომელიც ვლინდება სხვა გადასახადების შესრულებისათვის, შესაძლოა უკავშირდებოდეს 2016 წელს სახაზინო კოდეხის სისტემაში განხორციელებული რეფორმიდან⁴ გამომდინარე სხვა გადასახადების გეგმური მაჩვენებლის განსაზღვრის სირთულესთან (2016 წელს სხვა გადასახადების მუხლში ფაქტობრივად ჩაირიცხა 527 მლნ ლარი, 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დეკემბრის ცვლილებით, სხვა გადასახადების გეგმური მოცულობა, საწყის გეგმასთან შედარებით, 87 მლნ ლარიდან გაიზარდა 150 მლნ ლარამდე, თუმცა ფაქტობრივად მიღებულ იქნა 64 მლნ ლარი).

აღნიშნულ წლებში საგადასახადო შემოსავლების ზრდის ტემპი წინა წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით მართალია არაერთგვაროვანი ოდენობით იზრდება, მაგრამ მაინც შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს, რადგან პროცენტულ მაჩვენებლებში ასე გამოიყურება: 5.79 პროცენტისა ზრდა 2015-2016 წლებში, 12.57 პროცენტისა ზრდა 2016-2017 წლებში, ხოლო 2017-2018 წლებში დაფიქსირდა 5.55 ზრდა.

საგადასახადო შემოსავლების რიგ შემთხვევებში თითქმის ნახევარს შეადგენს დამატებული ღირებულების გადასახადი. ამავდროულად, საგადასახადო შემოსავლების ზრდა ძირითადად განხორციელდა სწორედ დამატებული ღირებულების გადასახადის საშუალებით.


დამატებული ღირებულების გადასახადის მაჩვენებელი 2017 წელს განისაზღვრა 4 122,6 მლნ ლარით, 2016 წელს დღგ სახით მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 3 286,3 მლნ ლარი, რა მთლიანი გადასახადების 41.14 პროცენტს უდრის.

რეალურად, 2015 წლის შესრულების მაჩვენებელმა დამატებული ღირებულების გადასახადის მხრივ პროცენტულად წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით შეადგინა 105.9 პროცენტი და მობილიზებული იქნა 3,505,455 ათასი ლარი.

დამატებული ღირებულების გადასახადზე საუბრისას მნიშვნელოვანია იმ ფაქტის აღნიშვნა, რომ ამ გადასახადის მხრივ მთლიანობაში მობილიზებული თანხის ოდენობა, რომელიც საბაჟო დეპარტამენტიდანაა მობილიზებული მერყეობს 63% - დან 75% - ის ფარგლებში, ხოლო ოდენობა საგადასახადო დეპარტამენტის მიერ მობილიზებულ შემოსავლებს განეკუთვნება.

დიაგრამა №1

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასხადების წილობრივი მაჩვენებლები (2017 წელი)



დიაგრამაზე წარმოდგენილი მონაცემების ანალიზს მივყავართ დასკვნამდე, რომ იმპორტირებული პროდუქციის დაბეგვრიდან მიღებული დამატებული ღირებულების გადასახადის მატება მეტად მზარდი ტემპით ხასიათდება, რის უმთავრეს ხელშემწყობ პირობასაც წარმოადგენს იმპორტის მოცულობის მნიშვნელოვანი ზრდა ადგილობრივ

წარმოებასთან შედარებით, რაც რა თქმა უნდა დადებით ტენდენციაზე არ მეტყველებს, პირიქით, ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ადგილობრივი წარმოების განვითარების დაბალ დონეს. იმპორტირებულ საქონელში წინა წლების გამოცდილებაზე დაყრდნობით ჭარბობს ბენზინისა და დიზელის იმპორტი.


დამატებული ღირებულების გადასახადის შემდეგ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიერ შემოსავლების მიღების ერთ - ერთ მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენს მეორე არაპირდაპირი გადასახადი - აქციზი.

აქციზის მიხედვით მიღებული შემოსავლების მოცულობამ 2016-2017 წლებში შეადგინა 1 069.6 და 1 450.9 მილიონი ლარი, გეგმით კი განსაზღვრული იყო შესაბამისად 1 012.0 და 1 435.0 მილიონი ლარის მობილიზება. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გეგმის შესრულების მაჩვენებელმა შეადგინა: 2016 წელს - 105.3%, 2017 წელს კი 101.0%. საპროგნოზო მაჩვენებლების ზედმეტად შეუსრულებსა ორივე წელს ზრდის ტენდენცია გამოვლინდა წინა წლებთან შედარებით: 25,5 პროცენტისანი ზრდა 2016 წელს წინა წელთან შედარებით. 2016 - 2017 წლებში აქციზის მაჩვენებელმა შესაბამისად 1 069.6 მილიონ ლარი და 1 450.9 მილიონი ლარი შეადგინა. აღნიშნული გადასახადის ზრდა ძირითადად განპირობებულია კავშირგაბმულობის დარგში აქციზის გადასახადის შემოღებით, ზოგიერთი სახეობის აქციზურ საქონელზე (ლუდი, არაყი და სხვა სპირტიანი სასმელები) აქციზის განაკვეთის გაზრდით და სხვა ფაქტორებით.

ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს გრანტები. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური სახსრების ფორმირებაში გრანტები ჯერ კიდევ მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

სახელმწიფო ბიუჯეტში გრანტების სახით მიღებული
შემოსავლები 2010-2018 წ.წ

მლნ. ლარში



ბიუჯეტის შემოსავლების გარკვეულ ნაწილს უცხოეთიდან მოზიდული ფულადი გრანტები შეადგენს. გრაფიკზე ნათლადაა წარმოდგენილი გრანტების ზრდის ტენდენცია ბიუჯეტის მიმდინარე შემოსავლებში. 2008 წლის აგვისტოს ცნობილი მოვლენების გამო ზრდის ტემპი კიდევ უფრო დაჩქარდა და სწორედ უცხოური გრანტების საფუძველზე მოხერხდა ხდებოდა ბიუჯეტის გადასახდელების დაფინანსება. აღსანიშნავია ის გარემოება რომ 2011-2017 წლებში მიღებული გრანტების წილი შემოსავლებში კლებულობს რაც გამოწვეული უნდა იყოს დაბალი აქტივობით საერთაშორისო ასპარეზზე.

⁶*დიაგრამა შედგენილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემთა ბაზაზე დაყრდნობით

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების ფორმირების პროცესში საგადასახადო შემოსავლებთან ერთად მნიშვნელოვან როლს წარმოადგენს მიმდინარე შემოსავლების ერთ-ერთი წყარო - სხვა შემოსავლები. (იხ. ცხრილი №6)

ცხრილი №6⁷

სახელმწიფო ბიუჯეტში სხვა შემოსავლების სახით
მიღებული შემოსავლები 2010-2018 წ.წ

მლნ ლარებში

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის წლიური შემოსავლები	2010 წლის ფაქტი	2011 წლის ფაქტი	2012 წლის ფაქტი	2013 წლის ფაქტი	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი
სხვა შემოსავლები	357.7	417.2	534.6	312.9	308.9	305.2	296.4	408.4	410.0

შემოსავლების შესრულება 2017 წლის მდგომარეობით 408 მლნ ლარს და წლიური გეგმის 106%-ს უტოლდება, ძირითადად საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან (109.5%) და საკუთრებიდან შემოსავლების (106%) გადაჭარბებით შესრულების გავლენით.

საკუთრებიდან შემოსავლების სახით მიღებულია 142 მლნ ლარი, გეგმის 106%, კერძოდ: პროცენტების მუხლით შემოსავლები 2017 წლის 12 თვის მდგომარეობით 58 მლნ ლარს (გეგმის 111%- ს) შეადგენს და 15%-ით აღემატება წინა წლის მაჩვენებელს. რაც შეეხება პროცენტიდან შემოსავლების სტრუქტურას, უდიდესი წილი (50%) მოდის დეპოზიტებზე და ანგარიშებზე დარიცხულ პროცენტებზე, რომლის მოცულობამ 29 მლნ ლარი შეადგინა, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედ საწარმოებზე გაცემული სესხებიდან პროცენტების სახით მიღებულ შემოსავლები 23 მლნ ლარს შეადგენს. რენტის მუხლით შემოსავლები 18 მლნ. ლარს და წლიური გეგმის 113%-ს

⁷ *ცხრილი შედგენილია საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მონაცემთა ბაზაზე დაყრდნობით

შეადგენს, აქედან ძირითადი თანხები მიღებულია სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საფასურიდან (16 მლნ ლარი). დივიდენდების მუხლით შემოსავლების 12 თვის გეგმა 66.4 მლნ ლარით განისაზღვრა, შესრულებამ შეადგინა წლიური გეგმური მაჩვენებლის თითქმის 99.9%. დივიდენდების ძირითადი ნაწილი 65 მლნ ლარის ოდენობით შემოვიდა ეროვნული ბანკის მოგებიდან. რაც შეეხება სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების მოგებიდან დივიდენდებს, უნდა აღინიშნოს, რომ 2017 წელს 2- ჯერ (9 ივნისს და 18 აგვისტოს) გაიმართა სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით მოქმედი 13 საწარმოების წმინდა მოგების განაწილებისა და გამოყენების შესახებ წინადადებების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების მიზნით შექმნილი კომისიის სხდომა და განხილულ იქნა სულ 27 საწარმოს წმინდა მოგების განაწილების საკითხი. კომისიის დასკვნებით 2017 წლის დასასრულამდე ბიუჯეტში მისამართი დივიდენდის ოდენობა განისაზღვრა 1.4 მლნ ლარის ოდენობით. 12 თვის მდგომარეობით ბიუჯეტში ამ მიმართულებით მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა გეგმის 97%(1.36 მლნ ლარი). საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან შემოსავლების სახით მიღებულ იქნა 100 მლნ ლარი, წლიური გეგმის 109.5% (მათ შორის, ძირითად ნაწილს, 96 მლნ ლარის ოდენობით, შეადგენს ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები). შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები (92 მლნ ლარი) წლიურ გეგმას უახლოვდება და 101%-ს შეადგენს შემდეგი უდიდესი კომპონენტებით: გზათსარგებლობის საფასურიდან მიღებული შემოსავლები (32 მლნ ლარი); სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები (32 მლნ ლარი) 2016 წელს გამოუყენებული და დაბრუნებული საბიუჯეტო სახსრები - 15 მლნ ლარი. სანქციებიდან (ჯარიმები, საურავები) მიღებული შემოსავალი 55 მლნ ლარს (წლიური გეგმის 102%) შეადგენს. აღნიშნული შემოსავლები გასულ წელთან მიმართებით შემცირებულია (2 მლნ ლარით). ამ მუხლით მობილიზებული შემოსავლების ძირითადი წილი 58%-ის ოდენობით შემოვიდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების, ხოლო 36% - სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევების გამო სანქციებიდან. უნდა აღინიშნოს, რომ წინა წელს ანალოგიური მაჩვენებლები შეადგენდა, შესაბამისად, 25.9%-სა და 26.1%-ს. სხვა შემოსავლების ცალკეული კომპონენტებიდან ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარდა, ყველაზე

მნიშვნელოვანი (31%-იანი) გადახრით ხასიათდება. ამ მუხლით შემოსავლები საწყისი გეგმით 2.4 მლნ ლარით განისაზღვრა, ხოლო დეკემბრის დამტკიცებული გეგმით 15 მლნ ლარამდე გაიზარდა, რაც დაკავშირებულია იმ ფაქტთან, რომ წლის განმავლობაში აღნიშნულ მუხლში ასახულ იქნა საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მიზნობრივი დაფინანსების სახით მიღებული მიმდინარე ნებაყოფლობითი ტრანსფერები გრანტების გარეშე, 14 მლნ ლარის ოდენობით („სამინისტროებისა და უწყებების მიერ მიღებული ფულადი გრანტების/მიზნობრივი დაფინანსების აღრიცხვის და ხარჯვის შესახებ“ ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 30 დეკემბრის #419 ბრძანების შესაბამისად). 12 თვეში ბიუჯეტში ფაქტობრივად მიღებულმა თანხებმა ჯამში 20 მლნ ლარი შეადგინა. რაც შეეხება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებლებთან მიმართებას, ჯამურად სხვა შემოსავლების მოცულობა 2016 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 112 მლნ ლარით (38%-ით) მეტია, აღნიშნული დინამიკა ძირითადად უკავშირდება საკუთრებიდან შემოსავლებს, კერძოდ, დივიდენდებს ეროვნული ბანკის მოგებიდან, რომლის სახით 2017 წლის ბიუჯეტში მიღებულ იქნა 65 მლნ ლარი, 2016 წელს კი ბიუჯეტში დივიდენდები ჩაირიცხა მხოლოდ სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოებიდან 0.7 მლნ ლარის ოდენობით. გარდა ამისა, შერეული და არაკლასიფიცირებული შემოსავლების სახით 28 მლნ ლარით მეტი იქნა მიღებული, რაც ძირითადად დაკავშირებულია სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების 22 მლნ ლარის ოდენობით ზრდასთან. 14 ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სხვა შემოსავლების სტრუქტურა განსხვავებულია 2016 წლის ანალოგიური პერიოდისაგან მაგალითად, 2017 წელს სხვა შემოსავლების ჯამურ ფაქტობრივ მაჩვენებელში მნიშვნელოვნად გაზრდილია საკუთრებიდან შემოსავლების წილი (24%-დან 35%-მდე) და შემცირებულია სანქციების (ჯარიმების და საურავების) წილი (19%-დან 13%-მდე).

სხვა შემოსავლების როგორც მოცულობა ისე წილი შემოსავლების საერთო მოცულობაში 2010-2018 წ.წ საანალიზო პერიოდში, სხვადასხვა მიმართულებით შეიცვალა (იხ. ცხრილი №6), თუმცა მისი როლი შემოსავლების ფორმირებაში გაცილებით მაღალია, ვიდრე საბაჟო და სხვა გადასახადებისა.

სხვა შემოსავლებში გაერთიანებულია შემდეგი სახის გადასახადებისგან და მოსაკრებლებისგან მიღებული შემოსავლები: შემოსავლები საკუთრებიდან,


პროცენტები, დივიდენდები, რენტა, ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახადები, არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება, სანქციები (ჯარიმები და საურავები), ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გარდა გრანტებისა, შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები.

2.2 არაფინანსური და ფინანსური აქტივების კლებისა და ვალდებულებების ზრდის შედეგად მიღებული შემოსავლების შეფასება და ანალიზი

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ახალი საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების მეორე წყაროს არაფინანსურ აქტივებთან დაკავშირებული ოპერაციებიდან, კერძოდ, არაფინანსური აქტივების კლებიდან ანუ რეალიზაციის შედეგად მიღებული შემოსავლებია. არაფინანსური აქტივების ზრდა ნიშნავს, რომ რაღაც ქონება იქმნება, რისთვისაც ბიუჯეტიდან თანხა იხარჯება. არაფინანსური აქტივების კლება კი ნიშნავს, რომ გარკვეული ქონება სახელმწიფოს საკუთრებას აღარ წამოადგენს, ანუ ამ ქონების პრივატიზაცია ხდება, ხოლო ეს არაფინანსური აქტივების კლებაში აისახება, სამაგიეროდ კი, ბიუჯეტი ამ პრივატიზაციიდან მიღებული თანხით ივსება. არაფინანსური აქტივების ცვლილება კი გამომხატავს ზრდისა და კლების სხვაობას.

დიაგრამა №3

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების
კლება 2010-2018 წ.




2012 წლიდან ფიქსირდება არაფინანსური აქტივების ზრდა. 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის არსებობა განაპირობა უპირატესად უარყოფითმა

საოპერაციო სალდო და იმან, რომ არაფინანსური აქტივების შეძენაზე 873.4 მლნ ლარით მეტი იქნა დახარჯული, ვიდრე მათი გაყიდვიდან იქნა მიღებული. არაფინანსურ აქტივებთან დაკავშირებულ ოპერაციებთან ანალოგიური სიტუაცია დაფიქსირდა 2009-2010 წლებში. 2008-2010 წწ. განსხვავებით 2007 წელს საოპერაციო სალდო იყო დადებითი და მეტი, ვიდრე არაფინანსური აქტივების ცვლილება ანუ გვქონდა პროფიციტული ბიუჯეტი. 2011 წელს არაფინანსური აქტივების ზრდა 849,3 მლნ ლარი დაფიქსირდა, მაგრამ უნდა აღინიშნოს რომ საოპერაციო სალდო იყო საკმაოდ დიდი - 618.5 მლნ ლარი შეადგინა. 2012-2017 წლისათვის არაფინანსური აქტივების კლება შესაბამისად 80.2 – 97.6 მილიონი ლარია. აღნიშნული პოლიტიკა სახელმწიფოს მხრიდან შეიძლება კარგ ტენდენციად ჩაითვალოს რადგანაც სახელმწიფო არ გეგმავს შემოსავლების მიღებას კაპიტალის გასხვისებით, რაც მყარი საგადასხადო პოლიტიკის მაჩვენებელია.

ახალი საბიუჯეტო მეთოდოლოგიის მიხედვით ბიუჯეტის მთლიანი უარყოფითი სალდოს დასაფინანსებლად გამოიყენება ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების სახსრები. როგორც მე-2 ცხრილის მონაცემები გვიჩვენებს, 2010-2017 წლებში ფინანსური აქტივების ცვლილება დადებითია გარდა 2013 წლისა, რაც იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლება ბიუჯეტიდან ამ პერიოდში მეტს ხარჯავდა ფინანსური აქტივების შეძენაზე (გასესხებაზე, დაგროვებაზე), ვიდრე უკან იბრუნებდა მათ. ბუნებრივია ეს დადებითი მოვლენაა, თუმცა დეფიციტის დასაფინანსებლად თვითონ დასჭირდა ახალი სესხების აღება. მართლაც, თუ 2006-2007 წლებში სახელმწიფოს ვალდებულებების ცვლილებები იყო დადებითი ანუ ხელისუფლება უფრო მეტ ვალდებულებას (სესხებს) ფარავდა ვიდრე იღებდა, 2010-2017 წელს პირიქით, აიღო გაცილებით მეტი სესხი, ვიდრე დაფარა.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების
ზრდა 2010-2018 წ.წ.

მლნ ლარებში



დიაგრამა №4-ის მონაცემებიდან ჩანს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების ზრდა სხვადასხვა მიმართულებით ვითარდებოდა. 2011 წელს წინა წელთან შედარებით 712.3 მილიონი ლარით ნაკლები იყო ვალდებულებების ზრდა. თუმცა ვალდებულებების კლების ტენდენცია არ შენარჩუნდა მომდევნო წლებში. 2013 წელს ვალდებულებების ზრდამ 737.9 მილიონი ლარი შედგინა, რამაც 2012 წელთან შედარებით 308.1 მილიონი ლარით შემცირება გამოიწვია. ზოგადად 2014 – 2017-წ.წ. შეინიშნება ვალდებულებების მკვეთრი ზრდა, რაც საბიუჯეტო პოლიტიკის უარყოფით ტენდენციაზე მეტყველებს. ვალდებულებების ზრდა ძირითადად საგარეო სესხის ხარჯზე ხერხდება.

⁸* ცხრილი შედგენილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემებზე დაყრდნობით

თავი 3. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების სრულყოფის მიმართულებები


3.1 პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელობა

საქართველოსთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას. ქვეყანაში არსებული ლიბერალური გარემო და თანაბარი პირობები ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციებისათვის, საქართველოს მიმზიდველს ხდის უცხოელი ინვესტორებისათვის.

სატაბილური ეკონომიკური გარემო, მხოლოდ ექვსი გადასახადი, შემცირებული საგადასახადო განაკვეთები, ლიცენზიებისა და ნებრათვების მცირე რაოდენობა, ადმინისტრაციული პროცედურების სიმარტივე, მსოფლიოს მრავალ ქვეყანასთან ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, კარგად განვითარებული და ინტერგირებული სატრანსპორტო საშუალება და სხვა მრავალი ფაქტორი წარმოადგენს მყარ საფუძველს საქართველოში ბიზნესის დაწყებისა და მისი წამრატებული განვითარებისათვის.

ჩვენი აზრით, ინვესტიციებზე, განსაკუთრებით კი უცხოურ ინვესტიციებზე საუბრისას ყურადღება უნდა გამახვილდეს უპირატესად მრეწველობის დარგებში გრძელვადიან ინვესტირებაზე. უცხოური ინვესტიციების საშუალებით მიღებული მთელი სიკეთე საქართველოში წარმოების ზრდის სამსახურში უნდა იქნეს ჩაყენებული.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ის ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილურობას უსვამს ხაზს და ხელს უწყობს ეკონომიკის განვითარებას. ამასთან, მნიშვნელოვანი ფაქტორია ქვეყნის შიგნით განხორციელებულ მთლიან ინვესტიციაში სახელმწიფოს მონაწილეობის შემცირება, მაშინ როცა არ მცირდება მთლიანი ინვესტიციის ჯამური ოდენობა. აღნიშნული პირდაპირ მიუთითებს კერძო სექტორის მიერ განხორციელებული ინვესტიციების მოცულობის ზრდაზე.



2010 წელს პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა საქართველოში შეადგინა 845,1 მილიონი დოლარი; 2011 წელს - 1,129.9 მილიონი დოლარი 2012 წელს – 1,022.9 მლნ დოლარი; 2013 წელს – 1,020.9 მლნ დოლარი. 2014 წელს საქართველოში შემოსულმა ინვესტიციებმა 1 817.7 მილიონი დოლარი შეადგინა რაც წინა წელთან შედარებით 797.2 მილიონით მეტი იყო. 2014 წლის იანვარ-სექტემბერში პირდაპირი ინვესტიციების მოცულობამ შეადგინა დაახლოებით 1,276.8 მილიონი ლარი. წინა წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით 60%-ით არის გაზრდილი. აღსანიშნავია, რომ ამ თანხების თითქმის 24% მოდის რეალურ სექტორში, მათ შორის ტრანსპორტსა და კომუნიკაციებში თითქმის 433 მილიონი; მრეწველობაში – 256 მილიონი, ხოლო საფინანსო სექტორში - 126 მილიონი. ეს უკანასკნელი საქართველოს ფინანსური ინსტიტუტების გამართული მუშაობის შედეგია.


სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2017 წელს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 1,894.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. 2016 წლის დაზუსტებული მონაცემებით ეს მაჩვენებელი 1, 565.8 მლნ აშშ დოლარი იყო. როგორც ვხედავთ, 2017 წელს პირდაპირი უცხოური

ინვესტიციების მოცულობა 328.7 მლნ აშშ დოლარით აღემატება წინა წლის დაზუსტებულ მონაცემებს.


2017 წლის III და IV კვარტალებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის ზრდა ფიქსირდება როგორც წინა წლის შესაბამის პერიოდთან, ასევე წინა კვარტალთან შედარებით.

პირველი კვარტალი ეკონომიკურად ყველაზე პასიურად მიიჩნევა, ყოველი მომდევნო კვარტალი კი წინამორბედზე აქტიურია. შესაბამისად, ყველაზე აქტიური მეოთხე კვარტალია და ეკონომიკური აქტივობაც, ინვესტიციების ჩათვლით, როგორც წესი, ყველაზე მაღალია. თუმცა, 2017 წლის IV კვარტალი 2017 წლის III კვარტალთან შედარებით ყველაზე პასიური აღმოჩნდა.

2017 წლის IV კვარტალში 522 მლნ აშშ დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია განხორციელდა, რაც წინა კვარტალთან შედარებით 16%-ით ნაკლებია. 2017 წელს ყველაზე დიდი მოცულობის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია III კვარტალში დაფიქსირდა – 622 მლნ აშშ დოლარი, რაც წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს 21%-ით აღემატებოდა. 2017 წლის II კვარტალის მონაცემები კი 13%-ით ნაკლებია წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს. 2017 წლის I კვარტალში განხორციელებულმა ინვესტიციებმა 393 მლნ აშშ დოლარი შეადგინეს, რაც 4%-ით მეტი იყო წინა წლის ამავე კვარტალთან შედარებით.



2017 წლის წინასწარი მონაცემებით უმსხვილესი პირდაპირი უცხოური ინვესტორი ქვეყნების ჩამონათვალში ლიდერობენ: აზერბაიჯანი– 25%-ით ; ნიდერლანდი– 19%-ით, თურქეთი – 15%-ით. შემდეგ ადგილებს იკავებენ გაერთიანებული სამეფო – 13%-ით, ჩეხეთი– 8%-ით, აშშ – 4%-ით და სხვები.



2017 წლის მონაცემებით ყველაზე დიდი ინვესტიცია ეკონომიკის შემდეგ სექტორებში განხორციელდა: ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა – 489 მლნ აშშ დოლარი, რაც მთლიანი უცხოური ინვესტიციის 26%-ია. საფინანსო სექტორი 302 მლნ აშშ დოლარი – 16%, მშენებლობა 283 მლნ აშშ დოლარი – 15%, ენერგეტიკა 224 მლნ აშშ დოლარი – 12%, უძრავი ქონება 182 მლნ აშშ დოლარი – 10% და სხვები.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი – 2010-2018 წ.წ ყველაზე მეტი 2017 წელს 1,894 მლნ აშშ დოლარი დაფიქსირდა, რაც 17%-ით აღემატება წინა წლის მონაცემს.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდის პარალელურად, ქვეყნის შიგნით განხორციელებულ ინვესტიციებში სახელმწიფოს წილი შემცირდა, შესაბამისად, გაიზარდა კერძო სექტორის მიერ განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა (როგორც პროცენტულად, ასევე რაოდენობრივად).

2013 წლის ნაერთ ბიუჯეტში არაფინანსური აქტივების შექმნამ (რაც წარმოადგენს სახელმწიფოს მხრიდან ქვეყანაში განხორციელებულ ინვესტიციებს) 9 თვის (იანვარი-სექტემბერი) მონაცემებით 544.5 მლნ ლარი შეადგინა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით კი ძირითადი კაპიტალის მთლიანმა ფორმირებამ 2013 წლის პირველი სამი კვარტალის მონაცემებით, 4 მილიარდ 193 მლნ ლარი შეადგინა. შესაბამისად, 2013 წელს (სამი კვარტალის მონაცემებით) სახელმწიფოს ინვესტიციამ მთლიან ინვესტიციაში დაახლოებით 13% შეადგინა, ხოლო კერძო ინვესტიციის მოცულობამ – 87%.

2012 წელს არაფინანსური აქტივების შექმნამ 1 მილიარდ 498 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო ძირითადი კაპიტალის მთლიანმა ფორმირებამ 6 მილიარდ 496 მლნ ლარი. რაც იმას ნიშნავს, რომ 2012 წელს ქვეყნის შიგნით განხორციელებულ მთლიან ინვესტიციაში სახელმწიფო ინვესტიციის ოდენობამ დაახლოებით 23%, ხოლო კერძო ინვესტიციებმა 77% შეადგინა.

2010 – 2016 წლის სტატისტიკის მიხედვით, სახელმწიფო ინვესტიციების წილი მთლიან ინვესტიციებში მცირდება (როგორც პროცენტულად, ასევე თანხობრივად). როგორც ვხედავთ, ეს პროცესი კი 2013 წელსაც გაგრძელდა.

ფინანსური გადაწყვეტილებები, ბიუჯეტის შემოსავლით ნაწილში, როგორც წესი, არ არის რთული - აქ მთავარია, მხედველობიდან არ გამოგვრჩეს შემოსავლის არც ერთი, შესაძლო წყარო. მთავარი პრინციპია - კაპიტალმა უნდა შექმნას კაპიტალი. თუ არსებობს წარმოების თავისუფალი საშუალებები - ეს რესურსი უნდა მუშაობდეს. თუ არსებობს უმოქმედო საკუთრება - იგი უნდა გაიცეს იჯარით ან არენდით. თუ რომელიმე თავისუფალ რესურსს არ შეუძლია შემოსავლის მოტანა და არ წარმოადგენს მომგებიან დაბანდებას (ანუ მასზე ფასი არ იზრდება), მაშინ იგი უნდა გაიყიდოს, ფული კი უნდა გაეშვას ინვესტიციებში.

სწორი საგადასახადო პოლიტიკის წარმოება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს ჩამოსაყალიბებლად. დაბალი გადასახადები და გამარტივებული სალიცენზიო და ადმინისტრაციული პროცედურები აადვილებს ეროვნულ ეკონომიკაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოსვლას. თავის მხრივ ინვესტიციებიც გავლენას ახდენს ბიუჯეტის შემოსავლებზე. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დაბანდებით ქვეყანაში იზრდება მთლიანი შიდა პროდუქტი და მცირდება უმუშევრობა, რაც გაზრდილი წარმოებით გამოისახება გაზრდილი დასაბეგრი სამეურნეო ოპერაციები რაც თავის მხრივ ზრდის შემოსავლებს და შესაბამისად იზრდება ბიუჯეტის შემოსულობებიც.

3.2 საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების სრულყოფის მიმართულებები

სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირებისა და საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის ეფექტიანობა ქვეყანაში საბიუჯეტო სისტემის სრულყოფის მიმართულებით, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს, სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირებისა და მთლიანობაში საბიუჯეტო პროცესის თანამედროვე, საბაზრო ეკონომიკის პრინციპების შესაბამისად გარდაქმნა წარმოადგენს, ვინაიდან საბიუჯეტო პროცესი სახელმწიფოს საბიუჯეტო სისტემის შემადგენელი ნაწილია და მის სწორ ორგანიზაციაზე ბევრადაა დამოკიდებული საბიუჯეტო სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირება საყურადღებოა, რომ საბაზრო ეკონომიკის ფორმირების საწყის ეტაპზე, საქართველო ფაქტიურად ბიუჯეტის გარეშე არსებობდა, რის გამოც, ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლება თავისი ძირითადი ფუნქციებისა და ამოცანების განხორციელებას, საზღვარგარეთიდან მიღებული დახმარებების საშუალებით უზრუნველყოფდა. სწორედ სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირების თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლების შესწავლა-გათვალისწინების უგულებელყოფამ, განაპირობა ის ფაქტი, რომ (2000-2003 წლები) წლების განმავლობაში ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირება, ხდებოდა მისთვის დამახასიათებელი სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინების გარეშე, რის გამოც სახელმწიფო ბიუჯეტი ნაკლებად უზრუნველყოფდა ქვეყანაში ეკონომიკის სტაბილიზაციაზე დადებითი ზეგავლენის მოხდენას. ქვეყანაში სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირებისა და მთლიანობაში საბიუჯეტო პროცესის სრულყოფის მიმართულებით, უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი იქნა გადადგმული საქართველოს პარლამენტის მიერ, 2009 წლის 18 დეკემბერს საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მიღებით, რომელიც ამოქმედდა 2010 წლის 1 იანვრიდან. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, საბიუჯეტო პროცესი წარმოადგენს ქვეყნის საბიუჯეტო სისტემის მონაწილეთა საქმიანობას, რომელიც თავის მხრივ მოიცავს ბიუჯეტის პროექტს: საქართველოს საბიუჯეტო პროცესი აღსანიშნავია, რომ ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მომზადებაზე, მის შესრულებასა და ანგარიშგებაზე პასუხს აგებს საქართველოს მთავრობა, ხოლო სხვადასხვა დონის ბიუჯეტებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ

შესაბამისი საბიუჯეტო ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს ადმინისტრაციულ ორგანოს და ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციულ ორგანოს. ქვეყნის საკანონმდებლო ორგანო, პასუხისმგებელია სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განხილვის, დამტკიცებისა და ბიუჯეტის კონტროლზე, სხვადასხვა დონეზე კი აღნიშნული პასუხისმგებლობა ეკისრებათ ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტისათვის, შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოს, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისათვის შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს. საქართველოს საბიუჯეტო პროცესის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ეტაპს, სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მომზადება წარმოადგენს. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მომზადების დროს ხორციელდება, ქვეყნის მთავრობის ძირითადი პოლიტიკური პრიორიტეტების, ქვეყნის ეკონომიკის სტაბილური ზრდა-განვითარებისა და ქვეყნის სოციალური პოლიტიკის სრულყოფისათვის საჭირო ღონისძიებების შემუშავება-დაზუსტება. მოქმედი კოდექსის შესაბამისად, ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მომზადების და წარდგენის პროცესს კოორდინაციას უწევს და პასუხისმგებელია საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, რომელიც საქართველოს ეროვნულ ბანკთან, ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში სახელმწიფო რწმუნებულებთანგუბერნატორებთან, ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოებთან, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებთან და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ მხარჯავ დაწესებულებებთან კოორდინაციით უზრუნველყოფს ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის შედგენას, რისთვისაც ზემოაღნიშნული თანამდებობის პირები და ორგანოები ვალდებული არიან, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარუდგინონ მოთხოვნილი ინფორმაცია. ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი, წარმოადგენს ქვეყნის განვითარების ძირითად ფინანსურ გეგმას და მასში ასახულია ინფორმაცია საშუალოვადიანი მაკროეკონომიკური და ფისკალური პროგნოზების შესახებ, საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების განვითარების ძირითადი მიმართულებების შესახებ და მოიცავს ინფორმაციას: ა) გასული, მიმდინარე, დასაგეგმი საბიუჯეტო წლებისათვის

და დასაგეგმისშემდგომი სამი საბიუჯეტო წლისათვის: ა.ა) ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორების (ნომინალური და რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი, ეკონომიკური ზრდა, ინფლაცია, ინვესტიციები და ა.შ.) პროგნოზებს და მათ აღწერას; ა.ბ) ნაერთი და სახელმწიფო ბიუჯეტების შემოსავლებისა და ხარჯების, ფინანსურ და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციებისა და ვალდებულებების აგრეგირებულ მაჩვენებლებს; ბ) გასული საბიუჯეტო წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების საბოლოო შედეგების ანალიზს და მიმდინარე საბიუჯეტო წლის გადამუშავებულ პროგნოზებს; გ) დასაგეგმი საბიუჯეტო წლისათვის და დასაგეგმისშემდგომი სამი საბიუჯეტო წლისათვის: გ.ა) საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ სახელმწიფო პრიორიტეტებს; გ.ბ) საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ სახელმწიფო ბიუჯეტის მხარჯავი დაწესებულებების საშუალოვადიან პრიორიტეტებს და მათ მისაღწევად განსახორციელებელი ძირითადი პროგრამებისა და ღონისძიებების დაფინანსების ოდენობებს, მიზნებსა და შედეგებს; გ.გ) მხოლოდ ინფორმაციული მიზნებისათვის ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საშუალოვადიან პრიორიტეტებს და მათ მისაღწევად განსახორციელებელი პროგრამებისა და ღონისძიებების დაფინანსების ოდენობებს, მიზნებსა და შედეგებს; დ) აგრეგირებულ მაჩვენებლებს სახელმწიფო ბიუჯეტის თითოეული მხარჯავი დაწესებულებისათვის გათვალისწინებული ასიგნებების საორიენტაციო ზღვრული მოცულობის შესახებ; დ) დასაგეგმი საბიუჯეტო წლისათვის დასაქმებულთა საორიენტაციო ზღვრულ რიცხოვნობას მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით. 1 საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში 2012 წლის 20 დეკემბერის (№117) ცვლილების შესაბამისად, რომელიც ამოქმედდა 2013 წლის 1 იანვრიდან ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის მომზადების მიზნით, საქართველოს მთავრობა დადგენილების საფუძველზე ყოველი წლის 1 მარტამდე განსაზღვრავს მხარჯავი დაწესებულებების, ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოებისა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მიერ წარსადგენი ინფორმაციის ნუსხას და წარდგენის ვადებს. ყოველი წლის 1 ივნისამდე, საქართველოს მთავრობა, ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების შეთანხმების მიზნით, ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს კომიტეტებს

წარუდგენს ინფორმაციას ძირითადი მაკროეკონომიკური პროგნოზებისა და საქართველოს სამინისტროების ძირითადი მიმართულებების შესახებ. წარმოდგენილ ინფორმაციაზე, საქართველოს პარლამენტის კომიტეტების მიერ გაკეთებული დასკვნები არა უგვიანეს 20 ივნისისა ეგზავნებათ მთავრობას. ქვეყნის სამინისტროები ყოველი წლის 30 ივნისამდე უზრუნველყოფენ თავიანთი საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების დამტკიცებას, რომელიც მოიცავს სამინისტროების პრიორიტეტებს და მათ მისაღწევად განსახორციელებელ პროგრამებსა და ღონისძიებებს. საქართველოს მთავრობა არა უგვიანეს 10 ივლისისა, იწონებს ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის პირვანდელ ვარიანტს, რის შემდეგაც იგი 5 დღის ვადაში, უზრუნველყოფს ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემის საშუალებით, მხარჯავი დაწესებულებებისათვის საბიუჯეტო განაცხადის ფორმების დაგზავნას, რომელთა გამოყენებითაც მხარჯავი დაწესებულებები, ახდენენ ქვეყნის ფინანსთა სამინისტროსათვის მომავალი წლების ბიუჯეტების შესახებ ინფორმაციის ელექტრონულად წარდგენას. ამასთან საყურადღებოა, რომ აღნიშნული ინფორმაცია შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის საფუძველზე მხარჯავი დაწესებულებებისათვის განსაზღვრული კადრებისა და ასიგნებების ზღვრულ მოცულობებთან. მხარჯავი დაწესებულებები ყოველი წლის 1 სექტემბრამდე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით წარუდგენს საბიუჯეტო განაცხადების შევსებულ ვარიანტს, რომელიც თავის მხრივ მოიცავს: ინფორმაციას გასული, მიმდინარე და დასაგეგმი საბიუჯეტო წლებისათვის: ა.ა) მხარჯავი დაწესებულებისათვის გათვალისწინებულ ასიგნებებს გაანგარიშებულს საბიუჯეტო კლასიფიკაციის (გარდა ორგანიზაციული კლასიფიკაციისა) ყველაზე დაბალი თანრიგის მიხედვით; ა.ბ) პროგრამული კლასიფიკაციის მიხედვით მხარჯავი დაწესებულებებისათვის გათვალისწინებულ ასიგნებების გაანგარიშებას; ა.გ) მხარჯავი დაწესებულებისათვის დასაქმებულთა დამტკიცებულ და საპროგნოზო რიცხოვნობას; ა.დ) ინფორმაციას იმ ასიგნებების შესახებ, რომელიც გათვალისწინებულია უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებით განსახორციელებელი პროექტებისა და ამ პროექტების თანადაფინანსებისა და თანამონაწილეობისათვის. ბ) მხარჯავი დაწესებულებებისათვის

გათვალისწინებული ასიგნებებიდან დასაგეგმი და დასაგეგმისშემდგომი სამი საბიუჯეტო წლისათვის განსახორციელებელ პროგრამებსა და ქვეპროგრამებს მათ დაფინანსებას, აღწერას, მიზნებს მოსალოდნელ შედეგებსა და მათი შესრულების შეფასების ინდიკატორებს; გ) ინფორმაციას კაპიტალური პროექტების შესახებ; მხარჯავი დაწესებულებების მიერ ფინანსთა სამინისტროში საბიუჯეტო განაცხადების წარდგენის შემდეგ, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო უზრუნველყოფს მათ განხილვასა და 15 სექტემბრამდე ქვეყნის მთავრობისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის ძირითადი პარამეტრების განსახილველად წარდგენას. თავის მხრივ, ფინანსთა სამინისტრო, სახელმწიფო ბიუჯეტის და ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების უკვე განახლებულ დოკუმენტს არაუგვიანეს 25 სექტემბრისა წარუდგენს მთავრობას. საქართველოს მთავრობა 1 ოქტომბრამდე ვალდებულია ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს წარუდგინოს სახელმწიფო ბიუჯეტის უკვე ქვეყნის პრეზიდენტთან შეთანხმებული პროექტი, თანდართულ მასალებთან და ბიუჯეტის პროექტის შესაბამის ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტთან ერთად. ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი მოიცავს: ა) სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით; ბ) სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებს, ნაშთის ცვლილებასა და თითოეული მხარჯავი დაწესებულებისთვის გათვალისწინებული ასიგნებების მოცულობას საბიუჯეტო კლასიფიკაციის შემდეგი მუხლების მიხედვით: ბ.ა) ხარჯები, მათ შორის: შრომის ანაზღაურების მიზნით გამოყოფილი ასიგნებები; ბ.ბ) არაფინანსური აქტივების ზრდა; ბ.გ) ფინანსური აქტივების ზრდა; ბ.დ) ვალდებულებების კლება. გ) მხარჯავი დაწესებულებისათვის გათვალისწინებული ასიგნებების მოცულობას ხარჯების და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით. 1 დ) სახელმწიფო ბიუჯეტის პროფიციტის ან დეფიციტის მოცულობას; ე) სახელმწიფო ბიუჯეტების ასიგნებების მოცულობას პროგრამული კლასიფიკაციის მიხედვით; ვ) საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების მოცულობას; ზ) სახელმწიფო ვალის და სახელმწიფოს მიერ გარანტირებული სესხების ზღვრულ მოცულობას; თ) იმ პროექტებს რომელთა დაფინანსებაც ხორციელდება დონორების მიერ გამოყოფილი მიზნობრივი კრედიტებითა და გრანტებით; ი) პრიორიტეტებს, რომელთა ფარგლებშიც მხარჯავი

დაწესებულებები სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით ახორციელებენ პროგრამებს ქვეპროგრამებს, მათ აღწერასა და მიზნებს. რაც შეეხება თანდართულ მასალებს, იგი მოიცავს: ა) სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განმარტებით ბარათს, რომელიც მოიცავს ინფორმაციას; ა.ა) ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორების (ნომინალური და რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი, ეკონომიკური ზრდა, ინფლაცია, ინვესტიციები და ა.შ.) პროგნოზებს და მათ აღწერას; ა.ბ) ფისკალური მაჩვენებლების აღწერასა და პროგნოზებს; ა.გ) სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებული ძირითადი ღონისძიებებისა და პროგრამების შესახებ; ბ) მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მოკლე მიმოხილვას; გ) იმ საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტს, რომელიც საჭიროა წლიური საბიუჯეტო კანონის ამოქმედებისათვის. დ) ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების, ქვეპროგრამების, მათი მოსალოდნელი შედეგებისა და შესრულების შეფასების ინდიკატორების შესახებ არსებულ დამატებით ინფორმაციას. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს თანდართულ მასალებთან და ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტთან ერთად განიხილავენ საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს კომიტეტები, საპარლამენტო ფრაქციები, უმრავლესობა, უმცირესობა და პარლამენტის წევრები. საკომიტეტო განხილვებზე ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის წარდგენას ახორციელებს ქვეყნის ფინანსთა მინისტრი ან მისი მოადგილე, შესაბამისი სამინისტროს მინისტრთან ან მის მოადგილესთან ერთად. საქართველოს პარლამენტი საკომიტეტო განხილვებისას გამოთქმულ შენიშვნებსა და წინადადებებს, ასევე საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურისა და საქართველოს ეროვნული ბანკის დასკვნებს საქართველოს მთავრობას უგზავნის არა უგვიანეს 22 ოქტომბრისა, რის შემდეგაც ქვეყნის მთავრობა 5 ნოემბრამდე ახდენს საქართველოს საკანონმდებლო ორგანოსათვის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტისა და ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის უკვე გადამუშავებული ვარიანტის ხელმეორედ წარდგენას და შემდგომში უკვე პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განხილვას. საქართველოს წლიური საბიუჯეტო კანონის პროექტისა და მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მოკლე მიმოხილვის შესახებ მოხსენებას, საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე წარადგენს, ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ან საქართველოს მთავრობის რომელიმე წევრი პრემიერმინისტრის შესაბამისი აქტით

მიღებული დავალებით. საკანონმდებლო ორგანო ასევე ისმენს, საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის, საქართველოს ეროვნული ბანკის და საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის მოხსენებებს, პლენარულ სხდომაზე გახმოვანებული შენიშვნები და წინადადებები 15 ნოემბრამდე ეგზავნება საქართველოს მთავრობას. ქვეყნის მთავრობა არა უგვიანეს 30 ნოემბრისა საქართველოს პარლამენტს წარუდგენს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტს და ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის გადამუშავებულ ვარიანტებს, პლენარულ სხდომაზე გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციასთან ერთად. ქვეყნის საკანონმდებლო ორგანო სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტს კენჭს უყრის არა უგვიანეს დეკემბრის მესამე პარასკევისა, წარდგენილი კანონის პროექტის მიღება ხორციელდება პარლამენტის სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ერთი მოსმენით. აღსანიშნავია, რომ ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში წლიურ საბიუჯეტო კანონის პროექტში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია განხორციელდეს, საქართველოს მთავრობის თანხმობით, ასეთ შემთხვევაში, ქვეყნის მთავრობა საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმებით ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს წარუდგენს კანონის შესაბამის შესწორებულ პროექტს. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია ასევე განხორციელდეს პლენარულ სხდომაზე, კანონის პროექტის განხილვისას იმ შემთხვევაში თუ გამოთქმულ შენიშვნას დაეთანხმება მომხსენებელი. საქართველოს პარლამენტის მიერ კანონით განსაზღვრულ ვადებში წლიური საბიუჯეტო კანონის მიუღებლობის შემთხვევაში 10 დღის ვადაში (არა უგვიანეს 31 დეკემბრისა) შესაძლებელია ხელახლა ეყაროს კენჭი სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის იმავე ვარიანტს ან საქართველოს მთავრობის და საქართველოს პარლამენტის წევრთა შემთანხმებელი კომისიის მიერ გადამუშავებულ პროექტს. ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს მიერ, სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში, საქართველოს პრეზიდენტი, ქვეყნის პარლამენტის დათხოვნისას, დეკრეტით ამტკიცებს სახელმწიფო ბიუჯეტს და შემდგომში უკვე ახლადარჩეული პარლამენტის უფლებამოსილების ცნობიდან 1 თვეში წარუდგენს მას დასამტკიცებლად. საბიუჯეტო კოდექსის საფუძველზე, სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მომზადებისა და წარდგენის

პროცესის ვადების დეტალურად გაწერის მიუხედავად მიგვაჩნია, რომ აღნიშნული ვადები მოითხოვს გადახედვას და გარკვეული კორექტივების შეტანას. კერძოდ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით, ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის წარდგენა ხდება საბიუჯეტო წლის დაწყებამდე 3 თვით ადრე. თანამედროვე ეტაპზე სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირებისას ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს საბიუჯეტო განხილვებისას ასიგნებების განაწილებაზე, შესრულების შეფასების ინდიკატორების, როგორც არგუმენტის გამოყენება წარმოადგენს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სახელმწიფოების მხრიდან არსებობს არაერთგვაროვანი დამოკიდებულება, კერძოდ: დანიასა და შვედეთში არ არსებობს პირდაპირი კავშირი შეფასების ინდიკატორებსა და პროგრამაზე გამოყოფილ ასიგნებებს შორის. შესაბამისად, სამინისტროები წარადგენენ ან არ წარადგენენ შეფასების ინდიკატორებს. გაერთიანებულ სამეფოში ბიუჯეტის შესრულების შეფასების ინდიკატორები, მონაწილეობას იღებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში, თუმცა ამის მიუხედავად, არ არსებობს კავშირი რომელიც, ასახავს დაგეგმვის მიმდინარეობის პროცესზე შესრულების შეფასების წარსული მაჩვენებლების გავლენას. შესაბამისად ძირითადად ფოკუსირება ხდება მომავალში დაგეგმილ ღონისძიებებსა და მისი შეფასების ინდიკატორებზე. ავსტრალიაში მიუხედავად იმისა, რომ ავსტრალიაში სწორედ შესრულების შეფასების ინდიკატორები უზრუნველყოფენ სახელმწიფოს მიერ, დაგეგმილი შედეგების მისაღწევად განსახორციელებელი ღონისძიებების ეფექტიანობის შეფასების ძირითად საშუალებას, ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში ცალკეული პროგრამისათვის ასიგნებების გამოყოფის საკითხზე მსჯელობისას და გადაწყვეტილების მიღებისას შესრულების შეფასების ინდიკატორებს დიდი მნიშვნელობა არ ენიჭებათ. თუმცა ისინი შედიან ბიუჯეტთან დაკავშირებული დოკუმენტებთა პაკეტების ნაწილში. სამხრეთ კორეას რადიკალურად განსხვავებული მიდგომა აქვს, ვინაიდან მან საწყის ეტაპზევე დიდი ყურადღება დაუთმო საბიუჯეტო გადაწყვეტილების მიღების პროცესში შესრულების შეფასების ინდიკატორების ჩართვას, ამასთან ინდიკატორების შეუსრულებლობის შემთხვევაში დღის წესრიგში დგება მომდევნო წლისათვის არაეფექტური პროგრამების ასიგნებების შემცირების საკითხი. საქართველოში პროგრამული ბიუჯეტის დანერგვის საწყის ეტაპზე შესრულების შეფასების

ინდიკატორებს ინფორმაციული სახე აქვთ და ისინი წარმოდგენილი არიან ბიუჯეტის დანართებში. თუმცა მიგვაჩნია, რომ საქართველოსათვის უმჯობესი იქნება კორეის მსგავსად, დიდი ყურადღება დაეთმოს საბიუჯეტო გადაწყვეტილების მიღების პროცესში შესრულების შეფასების ინდიკატორების ჩართვას, რაც საშუალებას მისცემს ხელისუფლებას ინდიკატორების შეუსრულებლობის შემთხვევაში მომდევნო წლისათვის განახორციელოს არაეფექტიანი პროგრამებისათვის ასიგნებების შემცირების საკითხის დაყენება. ბიუჯეტის პროექტის ფორმირების პროცესში ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემას ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების პროგნოზირება წარმოადგენს. საქართველოში ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე სახელმწიფო ხელისუფლების მრავალი მცდელობის მიუხედავად, ვერ გახდა შესაძლებელი ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების საპროგნოზო მაჩვენებლების გაანგარიშების მექანიზმის სრულყოფა, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებდა ქვეყანაში საბიუჯეტო პროცესის ორგანიზაციას

2014 წელს, მთლიანი შიდა პროდუქტის საშუალო რეალურმა ზრდამ წინასწარი შეფასებით 4.7 პროცენტი შეადგინა. გასული წლის პირველ სამ კვარტალში ეკონომიკურმა ზრდამ 6 პროცენტი შეადგინა. თუმცა, ეკონომიკის ზრდის ტემპი მეოთხე კვარტალში შემცირდა და 1.6 პროცენტი გახდა. ეკონომიკური აქტივობის შემცირება განაპირობა რუსეთში არსებულმა ეკონომიკურმა კრიზისმა და რუსეთის ეკონომიკასთან მჭიდროდ დაკავშირებულ ქვეყნებში ეკონომიკის ვარდნამ. შედეგად შემცირდა ექსპორტი, ფულადი გზავნილები და ტურისტთა ნაკადები. არასახარბიელო საგარეო ეკონომიკური ფაქტორები შენარჩუნდება 2015 წელსაც, რის გამოც ეკონომიკური ზრდის პროგნოზი შემცირდება. მიმდინარე წლის რეალურმა ეკონომიკურმა ზრდამ შეადგინა 0.5 პროცენტი. მშპ-ს რეალური ზრდის შენელება 2011 წლიდან დაიწყო, ანუ იმ წლიდან, როდესაც ყველაზე მაღალი ზრდის მაჩვენებელი - 7.2% დაფიქსირდა. 2012 წელს ეკონომიკის ზრდა 6.2%-მდე შემცირდა, ხოლო 2013 წელს ქვეყანაში ზრდის ტემპი კიდევ უფრო დაბალი - 3.2% იყო. ეკონომიკური ზრდის შენელება სხვადასხვა მიზეზებით შეიძლება აიხსნას. მშპ-ის ზრდის ტემპის დადმასვლა 2012 წელს დაიწყო -

საპარლამენტო არჩევნების წელს, რომლის შედეგადაც ქვეყანაში, პირველად 8 წლის განმავლობაში, ხელისუფლება დემოკრატიული გზით შეიცვალა. შესაძლოა, ეს იყო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კლების მიზეზი, რადგან არჩევნებთან და მით უმეტეს, რეჟიმის ცვლილების მომტან არჩევნებთან დაკავშირებით ინვესტორებს შორის გაურკვეველობა სუფევდა. ზრდის კლების მსგავსი სცენარი 2007 წლის შემდეგაც აღინიშნა, ანუ იმ წლისა, როდესაც მშპ-ს ზრდამ ყველაზე მაღალ მაჩვენებელს მიაღწია დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ. თუმცა, 2007 წელს რუსეთის მიერ დაწესებული ემბარგოს და 2008 წლის ომის გამო ზრდის ტემპი შენედა და 2009 წელს ეკონომიკის ზრდის მაჩვენებელი უარყოფითი -3.8% იყო .

ძირითადი მაკროეკონომიკული მაჩვენებლები

2012-2017 წ.წ.

დასახელება	2012	2013	2014	2015	2016	2017
მშპ-ის ნომინალური ზრდა	11,3%	3,2%	4,6	8.90%	7.20%	11.20%
მშპ-ის რეალური ზრდა	6,2%	2,5%	4.8%	2.90%	2.80%	4.80%
ნომინალური მშპ(მლნ ლარი)	23 149	27 009	2 150	31 755	34 028	37 850
ინფლაცია, საშუალო პერიოდის განმავლობაში	6,0%	0,0%	3%	4%	2.16%	6.03%
ინფლაცია, პერიოდის ბოლოს	6,0%	1,0%	2.00%	4.9%	1.80%	6.70%
ექსპორტი (მლნ.ლარი)	2,376.64	2,910.31	2,861.05	2,204.69	2,112.91	2,735.49
იმპორტი (მლნ.ლარი)	8,056.38	8,022.55	8,601.81	7,300.29	7,293.81	7,942.66

მართალია ზრდის ტემპი მცირდება, მაგრამ ზრდა მაინც ნულოვან ნიშნულს საკმაოდ აღემატება და ქვეყნის ისტორიაში ყველაზე მაღალ ნომინალურ მშპ-ს - 16.126 მილიარდ აშშ დოლარს, და ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ის 3,220-დან 3, 507 აშშ დოლარამდე ზრდას აჩვენებს. მშპ-ის რეალური საშუალო ზრდა 2014 წლის პირველ კვარტალში 7.4% იყო, რაც იმედისმომცემი ნიშანია როგორც ქვეყნისთვის, ასევე იმათთვის, ვინც მომდევნო ორ წლის განმავლობაში მშპ-ის ზრდა იწინასწარმეტყველა. თუმცა აპრილის თვეში დაფიქსირებული 2,7 პროცენტის ზრდა გვაფიქრებინებს, რომ პირველი კვარტლის მაღალი ზრდა განპირობებული იყო საბაზო ეფექტით, კერძოდ 2013 წლის მეოთხე კვარტალში განხორციელებული მაღალი საბიუჯეტო დანახარჯების ეფექტით, რომლის ფარგლებშიც განხორციელებული სამუშაოების დადგენილება 2014 წლის პირველ კვარტალში მოხდა, რამაც გამოიწვია დღე ბრუნვის და შესაბამისად ეკონომიკის ზრდა. საქართველოს 2013 წლის ბიუჯეტის გადასახადების მაჩვენებლების გაანგარიშებისას

⁹ *ცხრილი შედგენილია საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მონაცემთა ბაზაზე დაყრდნობით

მხედველობაში იქნა მიღებული 2013 წლისთვის ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლები, კერძოდ ეკონომიკური ზრდა (3.2%), ფასები, საგადასახადო პოლიტიკა, ადმინისტრირების დონის გაუმჯობესება და სხვა ფაქტორები.

საგადასახადო სისტემის სრულყოფასთან დაკავშირებით ჩვენს ქვეყანას წლების განმავლობაში ჰქონდა პრობლემები, რომელთა ერთი ნაწილის მოგვარება მოხერხდა, ხოლო ნაწილი კი დღემდე პრობლემატურად რჩება. თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ აბსოლიტურად სრულყოფილად ფუნქციონირებადი საგადასახადო სისტემა მსოფლიოს რეალობაში არც ერთ ქვეყანაში არ არსებობს.

საქართველოს რეალობიდან გამომდინარე, გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს ეკონომიკური სტაბილიზაციის მიღწევა, რაც შესაძლებელი იქნება ახალი საგადასახადო სტრატეგიის შემუშავებით, რომელიც მიმართული იქნება ეკონომიკური ზრდისა და სასურველი საინვესტიციო კლიმატის სტიმულირებისათვის. ეს უკანასკნელი კი მიიღწევა შესაბამისი კანონების მიღებით და მისი რეგულირებისათვის საჭირო ბერკეტების გამოყენებით.

ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებზე საუბრისას, თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, განსაკუთრებით საყურადღებოა პირდაპირ და არაპირდაპირ გადასახადთა ურთიერთშეხამების საკითხი.

გასული წლების ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების ანალიზი გვამღებებს საშუალებას ვთქვათ, რომ არაპირდაპირი გადასახადების ხვედრითი წილი მთლიან საგადასახადო შემოსავლებში საკმაოდ მზარდ ხასიათს იძენდა, მაშინ როდესაც საპირისპირო მდგომარეობა იყო პირდაპირ გადასახადებთან დაკავშირებით, და ის სტაბილურად დაბალი მაჩვენებლით ხასიათდებოდა.

აღნიშნული მოვლენების შედეგად ყველაზე მეტად ზარალდებოდა საქართველოს მოსახლეობა. გასათვალისწინებელია საყოველთაოდ აღიარებული ფაქტიც, რომ არაპირდაპირ გადასახადებთან შედარებით პირდაპირი გადასახადების ადმინისტრირება უფრო მეტ სიმძნელებთანაა დაკავშირებული.

ჩვენი ქვეყნის რეალობაში, სადაც საგადასახადო კულტურა საკმაოდ დაბალ დონეზე იმყოფებოდა, ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში პირდაპირი გადასახადების მობილიზება განსაკუთრებით გართულებული იყო, რადგან

ადგილობრივ ხელისუფლებას გაცილებით უფრო მეტი ბერკეტი აღმოაჩნდა პირდაპირი გადასახადების ადმინისტრირების თვალსაზრისით, ამიტომ „საგადასახადო, არასაგადასახადო და კაპიტალური შემოსავლების ბიუჯეტებს შორის განაწილების შესახებ“ კანონის საფუძველზე გადაწყდა ამ გადასახადების დატოვება ადგილობრივი ბიუჯეტების განკარგულებაში. აქედან გამომდინარე 2005 წლის 1 იანვრიდან აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებში განხორციელდა საშემოსავლო და მოგების გადასახადის 100 პროცენტით ჩარიცხვა. ყოველივე ზემოაღნიშნულის შედეგად, 2005 წლის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებში აღარ მოხდა აღნიშნული გადასახადების (საუბარია საშემოსავლო და მოგების გადასახადზე) დაფიქსირება. ამ ღონისძიების განხორციელების უმთავრეს მიზეზს წარმოადგენდა აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისათვის ადმინისტრირების ეფექტიანობის ამაღლებისა და დამატებითი შემოსავლების მიღების შესაძლებლობის მიცემა. 2008 წლის 1 იანვრიდან მოგების გადასახადი 100 პროცენტით ჩაირიცხება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში, საშემოსავლო გადასახადი კი, რომელიც განკუთვნილია ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებისათვის, ასევე 100 პროცენტით ჩაირიცხება აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ ბიუჯეტებში.

თანამედროვე საქართველოში საგადასახადო სფეროში არსებულ ერთ-ერთ პრობლემას წარმოადგენს იმის გაცნობიერება, რომ გადასახადი უნდა ეხებოდეს ყველას. იგი უნდა იყოს აბსოლუტურად სრული და ყველა მოქალაქემ საკუთარი თავიდან უნდა დაიწყოს საგადასახადო კულტურის დამკვიდრება.

ჩვენი აზრით, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია საბაჟო კანონმდებლობის სრულყოფა. სწორედ საბაჟო კანონმდებლობის სრულყოფა მისცემს სახელმწიფოს საშუალებას გაატაროს რაც შეიძლება მეტად ეფექტიანი საბაჟო პოლიტიკა, რამაც შემდგომში ხელი უნდა შეუწყოს სამამულო წარმოების განვითარებას და შესაბამისად ქვეყნის ეკონომიკის განვითარებასაც.

სწორედ ამ მიზანს ისახავდა საგადასახადო და საბაჟო კოდექსების გაერთიანება, რაც განხორციელდა 2010 წლის 17 სექტემბერს და ამოქმედდა 2011 წლის 1 იანვრიდან. მიღებული იქნა უფრო დახვეწილი და სრულყოფილი კოდექსი. თუმცა დღის წესრიგში

კვლავ დგას საბაჟო კოდექსის გამიჯვნა საგადასახადო კოდექსისაგან, რაც ჩემი აზრით არც თუ ეფექტური რეფორმა იქნება საგადასახადო სიტემის სრულყოფის მიზნით, რამეთუ კანონების უბრალოდ ტექსტური გაყოფა არ უზრუნველყოფს საბაჟო პოლიტიკის ეფექტიანობას, მთავარი არის სწორი სატარიფო ნორმების შემოღება რათა მოხდეს ადგილობრივი წარმოების ხელშეწყობა. ახალი საგადასახადო კოდექსის შედგენად, გამარტივდა საგადასახადო ადმინისტრირება, მომსახურება გადავიდა თანამედროვე ელექტრონულ სისტემაზე, ქვეყანაში მიკრო და მცირე ბიზნესის ხელშეწყობისა და განვითარების მიზნით შემოღებული იქნა ახალი დეფინიციები; დაწესდა დაბეგვრის სპეციალური რეჟიმები, გამარტივდა გადასახადის გამოანგარიშებისა და გადახდის პროცედურები, ამოქმედდა საგადასახადო ომბუდსმენის ინსტიტუტი, და სხვა. მიკრო ბიზნესი გათავისუფლდა ყველა გადასახადებისაგან, ხოლო მცირე ბიზნესისათვის ბრუნვის მიხედვით დაწესდა მხოლოდ ერთი გადასახადი.

2013 წლის მდგომარეობით, საქართველოს საგადასახადო კოდექსში ფიქსირდება შემდეგი საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადები:

1. საშემოსავლო გადასახადი;
2. მოგების გადასახადი;
3. დამატებული ღირებულების გადასახადი;
4. აქციზი;
5. იმპორტის გადასახადი.

ადგილობრივ გადასახადს კი წარმოადგენს ქონების გადასახადი.

სოციალური გადასახადის ამოღება საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადებიდან მოხდა 2008 წლის 1 იანვრიდან. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში სოციალური შენატანები აღარ ფიქსირდება, რადგან ის მოიცვა საშემოსავლო გადასახადმა, რითაც აღნიშნული გადასახადის სიმძიმე მთლიანად ფიზიკურ პირებს დააწვათ, რაც უდაოდ მეტად უარყოფით მოვლენას წარმოადგენს. მაგრამ უნდა აღინიშნოს რომ არაპირდაპირი გადასახადები მოსახლეობისათვის უფრო დიდი საგადასახადო ტვირთის მატარებელია. საგადასახადო ტვირთი მაკრო დონეზე ეს არის დარიცხული გადასახადების შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან. 2003 წლისათვის

ოფიციალური მონაცემებით ეს მაჩვენებელი 11.7 % შედაგენდა დღეის მდგომარეობით ეს მაჩვენებელი გაზრდილია და დაახლოებით 25% შეადგენს.

საგადასახადო შემოსავლებისა და ბიუჯეტის შემოსავლებს შორის კავშირი კარგად ჩამოაყალიბა ცნობილმა ამერიკელმა ეკონომისტმა არტურ ლაფერმა. მისი მოსაზრებით გადასახადებსა და ბიუჯეტის შემოსავლებს შორის გრძელვადიან პერიოდში უკუპროპორციული დამოკიდებულება არსებობს. მისი მტკიცებით გადასახადების ზრდა იწვევს წარმოების დაცემას, წარმოიქმნება ჩრდილოვანი ეკონომიკა, რაც ამიცრებს ბიუჯეტის შემოსავლებს გრძელვადიან პერიოდში და ეცემა ეკონომიკური განვითარების ტემპი. მიუხედავად იმისა რომ საქართველოში არსებობს ლიბერალური საგადასახადო სისტემა საგადასახადო ტვირთი ეკონომიკური განვითარების აღნიშნულ ეტაპზე მაღალია.

საქართველოს საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, 2008 წლის 1 იანვრიდან, საშემოსავლო გადასახადით ფიზიკური პირის დასაბეგრი შემოსავალი იბეგრებოდა 25 პროცენტის განაკვეთით, რომელიც მოგვიანებით შემცირდა 20 პროცენტამდე, რაც როგორც უკვე აღვნიშნეთ განაპირობა იმან, რომ ამ უკანასკნელმა თავის თავში მოიცვა სოციალური გადასახადი, შედეგად, მეწარმეები გათავისუფლდნენ გადასახადისაგან, რეალურად კი გადასახადის მთელი სიმძიმე მხოლოდ ფიზიკურ პირებს დააწვათ.

ახალ საგადასახადო კოდექსში, რომელიც მოქმედებს 2011 წლის 01 იანვრიდან, დიფერენცირებულია მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირების და მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირების დაბეგვრის რეჟიმები. მათზე ვრცელდება სპეციალური დაბეგვრის რეჟიმი.

ახალი საგადასახადო კოდექსის თანახმად, მიკრო ბიზნესის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს ფიზიკურ პირს, რომელიც არ იყენებს დაქირავებულ პირთა შრომას და დამოუკიდებლად ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას, რომლიდანაც მის მიერ მისაღები ჯამური ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 30 000 ლარს. მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი არ იხდის საშემოსავლო გადასახადს. ხოლო, მცირე ბიზნესის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს მეწარმე ფიზიკურ პირს, მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირის დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება 3

პროცენტით, თუ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულმა მისმა ერთობლივმა შემოსავალმა 500 000 ლარს გადააჭარბა. მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირი ამ ნაწილის მიხედვით დადგენილი განაკვეთით იბეგრება შესაბამისი თვის (ერთობლივი შემოსავლის 500 000-ლარიანი ზღვრის გადაჭარბების დაფიქსირების თვის) დასაწყისიდან კალენდარული წლის დასრულებამდე.

ბიზნესი თავისი არსით წარმოადგენს საბაზრო ეკონომიკის ხერხემალს, ამდენად საბაზრო ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების მოცულობა, ფორმები, მიზნები და მეთოდები ცხადია მიესადაგება ბიზნესის რეგულირებასაც და პირდაპირ თუ არაპირდაპირ ახდენს მასზე გავლენას.

ქვეყანაში წარმატებული ეკონომიკის საწინდარია სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის ორმხრივი ურთერთობა, სადაც სახელმწიფო გვევლინება ეკონომიკის რეგულატორის როლში. მეწარმე წარმატებულად ანხორციელებს თავის საქმიანობას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სამეწარმეო საქმიანობას ეფექტიანად არეგულირებს სახელმწიფო.

ბიზნესს სჭირდება სახელმწიფოს მხრიდან თანადგომა და მთელ რიგ შემთხვევებში სახელმწიფო ინიციატივები აუცილებელია, რომ კერძო ინიციატივები რეალობად იქცნენ. სწორად გატარებული მონეტარული და ფისკალური პოლიტიკა მთავრობის მხრიდან ხელს უწყობს მცირე ბიზნესის განვითარებას.

მცირე ბიზნესი - ეს არის აშშ-ს ეკონომიკის საფუძველი, ამიტომაც არსებობს უამრავი არაკომერციული ორგანიზაცია და სამთავრობო სტრუქტურა, რომელთა საქმიანობის ძირითად მიზანს წარმოადგენს მცირე ბიზნესზე დახმარების გაწევა და მხარდაჭერა, რათა მან ქვეყნის ეკონომიკაში დაიმკვიდროს თავისი ადგილი.

იაპონიაში მცირე ბიზნესის განვითარებას აქვს თავისი სპეციფიკა. მცირე და საშუალო საწარმოები იღებენ და ასრულებენ შეკვეთებს მსხვილი ფირმებისგან. ხელისუფლების, როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი ორგანოები, მცირე ბიზნესის შექმნისა და განვითარების სტიმულირებას ახდენენ: სესხის, საკრედიტო გარანტიების, საგდასახადო შეღავათების, კადრების სწავლების და ინფორმაციის მისაწვდომობის უზრუნველყოფის მეშვეობით.

მცირე ბიზნესი საჭიროებს დახმარებას, რადგან აქ დაბალია პროდუქციის დივერსიფიკაციის დონე, ფლობს მცირე საწესდებო კაპიტალს და რესურსებს, დაბალია ასევე მენეჯმენტის დონეც. მკვეთრად რეაგირებს საბაზრო კონიუნქტურის ცვლილებაზე, ძნელის არის კაპიტალის მოზიდვა, მისი მოზიდვის შემთხვევაში საპროცენტო გადასახადი საკმაოდ დიდია.

მცირე ბიზნესის მიმართ სახელმწიფო პოლიტიკის მთავარი მიზანი უნდა იყოს ფინანსური ნაკადების ისეთი დონით რეგულირება, რომ მცირე საწარმოებისთვისაც ხელმისაწვდომი გახდეს ფინანსური წყაროები: ბიუჯეტიდან მიზანმიმართული სუბსიდირება და მცირე საწარმოების საინოვაციო საქმიანობის ფინანსებისათვის კერძო კაპიტალის მოზიდვა.

გაბატონებულია აზრი, რომ ბიზნესში არსებობას ინარჩუნებს უძლიერესი, თუმცა მიგვაჩნია, რომ თუ სახელმწიფო მხარს დაუჭერს მიკრო და მცირე ბიზნესის განვითარებას, ისინი შეძლებენ განაგრძონ საქმიანობა, რაც ერთობ მნიშვნელოვანია ეკონომიკის განვითარებისთვის, რადგან მცირე ბიზნესი ქმნის სამუშაო ადგილებს და იხდის ბიუჯეტში გადასახადებს.

ჩვენი აზრით, საშემოსავლო გადასახადთან დაკავშირებით ადრე არსებული პრობლემებისა და სადავო საკითხების გადაჭრა - მოგვარებასთან დაკავშირებით ახალი საგადასახადო კოდექსის შემუშავება ნამდვილად წინგადადგმული ნაბიჯი იყო. მიკრო და მცირე ბიზნესისთვის შეღავათების დაწესება გარკვეულწილად დიდი გავლენა მოახდინა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე. მცირე ბიზნესის განვითარება მნიშვნელოვნად გაზრდის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილს. თუმცა ვფიქრობთ, ასევე მიზანშეწონილი იქნება საშუალო ბიზნესის გამოყოფა. 2013 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა დაუბეგრავი მინიმუმის მცნება, რაც გულისხმობს იმ ფიზიკურ პირთა 1 800 ლარის (დაუბეგრავი მინიმუმი) გამოქვითვას ხელფასით მიღებული შემოსავლებიდან, რომლის ოდენობაც წლის განმავლობაში არ აღემატება 6000 ლარს. მიმდინარე პერიოდისათვის უკვე მოხდა დაახლოებით 456 000 ადამიანის დეკლარაციის მიღება, ჯამში ანაზღაურდა 94 000 000 ლარი. ჩემი აზრით ასეთი სახის შეღავათები წარმოადგენს ერთჯერად დახმარებებს, რომელიც არ იძლევა დიდ შედეგს ეკონომიკისათვის, საჭირო არის ამ თანხების მიმართვა პროექტებში რომლებიც,

შექმნიან დამატებით სამუშაო ადგილებს, მოიზიდას უცხოურ ინვესტიციებს, დაეხმარება ეკონომიკას ზრდის ტემპის შენარჩუნებაში და გრძელვადიან პერიოდში უზრუნველყოფს ბიუჯეტის შემოსავლების გაზრდას.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით მოგების გადასახადის გადამხდელს წარმოადგენს: 1) რეზიდენტი საწარმო; და 2) არარეზიდენტი საწარმო, რომელიც საქართველოში საქმიანობას მუდმივი დაწესებულების მეშვეობით ახორციელებს ან/და შემოსავალს იღებს საქართველოში არსებული წყაროდან

მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს საქართველოს საწარმოს დასაბეგრი მოგება, რომელიც იბეგრება 15 პროცენტით.

საშემოსავლო და მოგების გადასახადის მობილიზების დონის გაუმჯობესების მიზნით საჭიროდ მიგვაჩნია, რომ საგადასახადო სამსახურმა ქმედითი და კომპლექსური ღონისძიებები განახორციელოს უშუალოდ გადასახადის გადამხდელებზე კონტროლის სისტემატურობის მიღწევის თვალსაზრისით.

დამატებული ღირებულების გადასახადი წამყვან ადგილს იკავებს პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების სახით მიღებულ შემოსავლებში.

დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელს წარმოადგენს პირი, რომელმაც გაიარა რეგისტრაცია, როგორც დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელმა, ან ვალდებულია გაიაროს რეგისტრაცია როგორც აღნიშნული გადასახადის გადამხდელმა. დღგ-ის ძირითადი განაკვეთი თავიდან 28 პროცენტით, შემდგომ 14 პროცენტით, მოგვიანებით 20 პროცენტით, ხოლო ახალი საგადასახადო კოდექსით 18 პროცენტით შემოიფარგლა.

2011 წლის 1 იანვრიდან ახალი საგადასახადო - საბაჟო კოდექსით, განსაზღვრულია დღგ-ით დაბეგვრის სპეციალური რეჟიმი - გადამხდელი, რომელსაც სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ იმპორტისას დღგ-ის სახით ჯამურად გადახდილი აქვს 200 000 ლარი და მეტი, იმპორტისას თავისუფლდება დღგ-ის გადახდის ვალდებულებისაგან და მას უკვე მოგვიანებით ყოველთვიურად გადაიხდის. ამ რეჟიმით უკვე სარგებლობს 800-მდე კომპანია.

„ეს სახელმწიფოს მხრიდან კერძო სექტორში განხორციელებული ინვესტიციის ტოლფასია; 1 წლის განმავლობაში ასეთი სახით გადავადებული გადასახადის

*მოცულობა 1 მლრდ ლარს მიაღწევს; გარდა პირდაპირი ფისკალური ეფექტისა გადამხდელისათვის ასეთი რეჟიმის შემოტანა განსაკუთრებით ამარტივებს იმპორტის დაწყებას და ხელს შეუწყობს ამ კუთხით კონკურენციის გაძლიერებას.*¹⁰

საგადასახადო - საბაჟო კოდექსში გათვალისწინებულია ასევე ელექტრონული დეკლარირება - რომელიც უზრუნველყოფს გადამხდელისათვის მარტივი, კომფორტული და უდანახარჯო ანგარიშგების სისტემას. ოფისიდან გაუსვლელად კომპიუტერის მეშვეობით ელექტრონული სახით დეკლარაციის წარდგენა შესაძლებლობას გვაძლევს თავიდან ავირიდოთ მათ შევსებასთან დაკავშირებული რისკები, საგადასახადოს ოფისების ყოველდღიური ვიზიტები და ა.შ. ამ ეტაპისთვის წარდგენილი დღგ-ს დეკლარაციებიდან 88% ელექტრონულია და დღგ-ს გადამხდელების 99%-მდე სარგებლობს; ხოლო საერთო გადამხდელების მიერ წარდგენილ დეკლარაციებში ელექტრონულს 67% უკავია.

ელექტრონული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა - გამორიცხავს უსაქონლო და ფიქტიური გარიგებების არსებობას, ასევე შევსებისას გადამხდელის მიერ შეცდომების დაშვებას. პრაქტიკულად ამ ინსტრუმენტის სრულად ამუშავების პირობებში ისტორიას ჩაბარდება ყალბი ანგარიშფაქტურების ერა, როდესაც ყველაზე ხშირად სწორედ ბიზნესმენი რჩებოდა დაზარებული, რადგან გაყალბებული საგადასახადო ანგარიშ - ფაქტურის მიხედვით ვეღარ იკეთებდა ჩათვლას და მთლიანად უწევდა დღგ-ს 18 %-ის გადახდა. დღეისათვის 17 147 დღგ-ს გადამხდელი გადავიდა ამ მომსახურებაზე და 300 ათასზე მეტი ანგარიშ-ფაქტურა იქნა დამოწმებული ელექტრონულად.

მიგვაჩნია, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ცვლილებები, რომლებიც შეტანილი იყო ახალ საგადასახადო - საბაჟო კოდექსში ნამდვილად წინგადადგმული ნაბიჯია.

თუმცა, ჩვენი აზრით, მიზანშეწონილი იქნება დამატებული ღირებულების გადასახადის განაკვეთის 16 პროცენტამდე შემცირება. დღგ-ს განაკვეთი განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებში მერყეობს 14-20 პროცენტამდე.

¹⁰ საქართველოს ფინანსთა მინისტრი, კახა ბაინდურაშვილი, პარლამენტში მოხსენით წარდგომისას, 2011

საქართველოში ამ ეტაპზე დამატებული ღირებულების გადასახადის განაკვეთის შემცირება შესაძლებელია. მაგრამ აქვე აღვნიშნავთ, რომ ისევე როგორც ეს კონკრეტული ღონისძიება, ასევე სხვადასხვა სახის გადასახადის გაუქმება თუ საგანაკვეთო რეგულირება და დასაბეგრი ბაზის შემცირება უნდა განხორციელდეს გადასახადების ადმინისტრირების ხარისხის მნიშვნელოვნად გაუმჯობესების პარალელურად, რის ტენდენციაც ნელ - ნელა უკვე შეინიშნება.

ეფექტიანობის მაქსიმიზაციისათვის უმჯობესია პირველ რიგში მოგვარდეს ადმინისტრირების გაუმჯობესებასთან დაკავშირებული პრობლემები, ამ მხრივ მიღწეული დადებითი შედეგი შექმნის ლიბერალიზაციის წინაპირობას. ასეთ შემთხვევაში, ვიმედოვნებთ, რომ მაღალი ფისკალური ეფექტი არ დააყოვნებს. აღსანიშნავია დამატებული ღირებულების გადასახადის კანონდარღვევებთან დაკავშირებით აუცილებელი პასუხისმგებლობის საკითხი, რამაც, ჩვენი აზრით, გამოხატვა უნდა ჰპოვოს მაღალ ჯარიმებსა და მკაცრად განსაზღვრულ სანქციებში.,

დამატებული ღირებულები გადასახადის ზრდა 2015 – 2018 წწ. მიუთითებს, რომ ქვეყანაში ვითარდება ვაჭრობის სფერო. თუმცა, მიგვაჩნია, რომ სახელმწიფოს მხრიდან ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა, ინვესტიციების განხორციელება უფრო მეტი შედეგის მომტანი იქნება და გაზრდის საქართველოს სახელმწიფოს ბიუჯეტში მიმდინარე შემოსავლებს.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების სფეროში დამატებული ღირებულების გადასახადის შემდეგ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საგადასახადო შემოსავალს წარმოადგენს აქციზი, რომლის სახით 2017 წელს განისაზღვრა 1,450,922.0 ათასი ლარის მიღება, ანუ 381,264.0 ათასი ლარით მეტის, ვიდრე წინა წელს.

2006 წელს გარკვეული ცვლილებები განხორციელდა საბაჟო კანონმდებლობაში, სწორედ აღნიშნული წლის 1 სექტემბრიდან „საბაჟო ტარიფის შესახებ“ კანონის საფუძველზე, გამარტივდა საბაჟო განაკვეთები და საბოლოო სახით დარჩა 0,5 და 12 პროცენტის განაკვეთი, თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მრავალ სასაქონლო პროდუქციაზე დაწესდა ნულოვანი განაკვეთი და გაუქმდა სეზონური საბაჟო გადასახადი. აღნიშნულმა ღონისძიებებმა გამოიწვია იმპორტული საქონლის მოცულობის ზრდა, რის შედეგადაც გაიზარდა შემოსავლები საბაჟო დეპარტამენტიდან.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, აქციზის გადამხდელს წარმოადგენს:

1. პირი, რომელიც:

- ა) აწარმოებს აქციზურ საქონელს საქართველოში;
- ბ) ახორციელებს აქციზური საქონლის იმპორტს საქართველოში;
- გ) ახორციელებს აქციზური საქონლის ექსპორტს;
- დ) ახორციელებს ბუნებრივი აიროვანი კონდენსატის ან/და ბუნებრივი აირის ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის მიწოდებას;
- ე) ახორციელებს მობილური საკომუნიკაციო მომსახურების გაწევას.

2. დამკვეთის ნედლეულით საქართველოში წარმოებულ საქონელზე აქციზის გადამხდელად ითვლება საქონლის მწარმოებელი.¹¹

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შევსების მნიშვნელოვან წყაროს წლების მანძილზე წარმოადგენდა ნავთობპროდუქტების იმპორტის დაბეგვრიდან მიღებული შემოსავლები. აღნიშნული ფაქტის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს ნავთობპროდუქტების არალეგალურად შემოტანაზე, დამუშავებასა და მათ შემდგომ რეალიზაციაზე კონტროლის გამკაცრება. აქაც ვაწყდებით უმთავრეს პრობლემას - გადასახადების ადმინისტრირების გაუმჯობესების აუცილებლობას.

პირდაპირი გადასახადების მაღალი ხვედრითი წილით გამოირჩევა ისეთი მაღალგანვითარებული ქვეყნები როგორცაა ინგლისი, კანადა, იაპონია და აშშ, რაც შეეხება არაპირდაპირ გადასახადებს, ამ მხრივ მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება საფრანგეთში. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისთვის, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საშემოსავლო ნაწილში დამახასიათებელია არაპირდაპირი გადასახადების სიჭარბე რაც არაა მისასალმებელი, რადგანაც, ცნობილ ფაქტს წარმოადგენს, რომ არაპირდაპირი გადასახადების მაღალი ხვედრითი წილი საგადასახადო შემოსავლებში უმეტესწილად ნაკლებად განვითარებული ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი.

¹¹ საქართველოს საბაჟო- საგადასახო კოდექსი. VII კარი. მუხლი 182

თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ არაპირდაპირი გადასახადები არასამართლიანია სოციალური თვალსაზრისით, რადგან შემოსავლების მატება მოსახლეობის ხარჯზე ხდება, მაინც მას ფისკალურად უფრო მეტი ეფექტიანობა გააჩნია და სისტემტიურად ჩაირიცხება ბიუჯეტში. რაც შეეხება პირდაპირ გადასახადებს, ის პირველ რიგში არის საგადასახადო ტვირთის რაც შეიძლება მეტად სამართლიანად გადანაწილების საშუალება.

პირდაპირი გადასახადების მნიშვნელობისა და როლის კიდევ უფრო მეტად გაძლიერებისათვის მნიშვნელოვანია: 1. საგადასახადო გარემოს გაუმჯობესება; 2. ფიზიკური პირების შემოსავლების მნიშვნელოვანწილად მატება; 3. საწარმოთა შემოსავლების მატება; 4. საგადასახადო კანონმდებლობის გაუმჯობესება; 5. საგადასახადო სამსახურის ეფექტური ფუნქციონირება; 6. და ბოლოს, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია გადასახადების მობილიზების ეფექტურობის ამაღლებისათვის- უშუალოდ საგადასახადო კულტურის ამაღლება.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიზანია დაიცვას გადამხდელები არალეგალური ბიზნესისაგან, არ მისცეს გადასახადის გადამხდელებს საშუალება დამალონ გადასახადები და წარმოიქმნას ჩრდილოვანი ეკონომიკა. გარდა ამისა, აღნიშნული სამსახურის პრიორიტეტული მიმართულება ასევე მოიცავს ეკონომიკის დაცვას და ორგანიზაციული და ადამიანური რესურსების განვითარებას. მათი საქმიანობის ძირითად პრინციპებს წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკის შემდგომი გაძლიერება და კონკურენტუნარიანობის გაზრდა, ასევე კეთილსინდისიერი გადამხდელებისათვის პრიორიტეტების მინიჭება, რაც გულისხმობს შემდეგს: თუ გადასახადის გადამხდელის ქმედება გამოწვეულია შეცდომით/არცოდნით და მიზნად არ ისახავდა გადასახადების გადახდისაგან თავის არიდებას, გადამხდელი შესაძლებელია გათავისუფლდეს სანქციისაგან. ასევე გადამხდელს ენიჭება უფლება მისთვის მოსახერხებელ პერიოდში შემოსავლების სამსახურისაგან მოითხოვოს საგადასახადო შემოწმების ჩატარება, რაც უზრუნველყოფს სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის პარტნიორულ ურთიერთობებს. ეს ინსტრუმენტი ბიზნესმენს საშუალებას აძლევს უკეთესად გააკონტროლოს საკუთარი ბიზნეს რისკები და არ იყოს მუდმივად საგადასახადო შემოწმების მოლოდინში.

საქართველოს მთავრობის ფუნდამენტური ამოცანაა მაკროეკონომიკური სტაბილურობა; ფისკალური პოლიტიკის მიმართვა საბიუჯეტო დეფიციტის შემცირებისა და ერთნიშნა ინფლაციის უზრუნველყოფისაკენ; მაღალი კონკურენტუნარიანობა, დამატებითი კონკურენტული უპირატესობების განვითარება შემცირებული საერთაშორისო საინვესტიციო კაპიტალის მოსაზიდად; სათანადო საკონსტიტუციო ცვლილებები და ეკონომიკური თავისუფლების, შესაძლებლობებისა და ღირსების აქტის უზრუნველყოფა; ეკონომიკური კურსის უზრუნველყოფა დაბალი და მარტივი გადასახადებით, ხარისხიანი საგადასახადო ადმინისტრირებით, გონივრული და ზომიერი რეგულირებით; თავისუფალი ვაჭრობის განვითარება, სხვა ქვეყნებთან ვაჭრობაში სატარიფო და არასატარიფო ბარიერების გამოუყენებლობა, ევროკავშირთან „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის“ ხელშეკრულებაზე მუშაობა.

ჩვენი აზრით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შედეგის მიღებაზე გათვლილი საქმიანობა ხელს შეუწყობს ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტურობას და მთლიანად ეკონომიკის განვითარებას, მეტად მნიშვნელოვანია მუშაობის სწორი სტრატეგიის შემუშავება, მით უფრო თუ გავითვალისწინებთ, რომ აღნიშნული სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესრულების ამსახველ ძირითად ინდიკატორებს წარმოადგენს: 1. დინამიურად მზარდი შემოსავლები; 2. მომხმარებლის კმაყოფილება; 3. შემცირებული ჩრდილოვანი ეკონომიკა; 4. კორუფციის პრევენცია; 5. შემოსავლების სამსახურის დადებითი იმიჯი.

ჩვენი აზრით, უმჯობესი იქნება, თუ მოხერხდება ჩვენს ქვეყანაში ბიზნესისათვის და მეწარმეობის განვითარებისათვის მაქსიმალურად ხელშემწყობი, ოპტიმალური და სასურველ შედეგებზე გათვლილი საგადასახადო კოდექსის შექმნა, რომელიც თავისი სრულყოფილებით შეძლებს პერმანენტული ცვლილება-შესწორებების გარეშე მრავალი წლის განმავლობაში ემსახუროს საგადასახადო-საბიუჯეტო სფეროს, იყოს ზომიერი და ორმხრივად მისაღები საკანონმდებლო-სამართლებრივი დოკუმენტი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს ეკონომიკის უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტად მიგვაჩნია სოფლის მეურნეობა და მისი შემდგომი განვითარებისათვის ზრუნვა. დღევანდელ დღეს იგი სახელმწიფოს მხრიდან ჯეროვანი მზრუნველობისა და

მხარდაჭერის გარეშეა დარჩენილი. უფრო მეტიც, საქართველოში ამ ეტაპზე არც მკაფიო ეროვნული აგრარული პოლიტიკაა შემუშავებული და, შეიძლება ითქვას, არც სოფლის მეურნეობაა მიჩნეული ქვეყნის პრიორიტეტად.

ჩვენი აზრით, აგრარული პოლიტიკა ორიენტირებული უნდა იყოს კერძო სექტორზე და უშუალოდ ამ კუთხით ინვესტიციების წახალისებაზე, რათა სწორედ აღნიშნულ სექტორში მოხდეს მაქსიმალურად ეფექტიანი ბიზნეს გარემოს შექმნა. როდესაც საუბარია ქვეყანაში ზოგადად ექსპორტის ზრდის მიმართულებით გასაწევ ღონისძიებებზე, მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა დაეთმოს აგრარული პროდუქციის ექსპორტზე ორიენტირებასაც.

აგრარული სექტორის განვითარებისათვის და ეფექტიანობისათვის მნიშვნელოვანია მისი აუცილებელი ინფრასტრუქტურით აღჭურვა, რადგან ექსპორტისათვის განკუთვნილი პროდუქციის საწარმოებლად სოფლის მეურნეობაში ამჟამად არსებული საწარმოო დანადგარები რბილად რომ ვთქვათ მოძველებულია და არ შეესაბამება საერთაშორისო ბაზარზე არსებულ მოთხოვნებს.

ჩვენი აზრით, აღნიშნული საკითხისადმი გულგრილი მიდგომით საქართველოს ეკონომიკას წინსვლა ნამდვილად გაუჭირდება. ადგილობრივი ბაზარი უხვადაა გაჯერებული უცხოეთიდან შემოტანილი დაბალი ხარისხის, ხშირ შემთხვევაში ჯანმრთელობისათვის საშიში, საექვო წარმოებისა და შემადგენლობის მქონე პროდუქტებით. ეს კი საკმაოდ დიდ ზიანს აყენებს როგორც სოფლის მეურნეობას, ასევე მთლიანად აგრარულ სექტორს და, საბოლოო ჯამში, ქვეყნის ეკონომიკას.

ჩვენი აზრით, მეწარმეობის განვითარების უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს არა მხოლოდ გადასახადების განაკვეთების რეგულირება, არამედ თვით დასაბეგრი ობიექტების წრის გაფართოება და ხელსაყრელი ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის შექმნა. ამიტომ აუცილებელ გამოსწორებას საჭიროებს აღრიცხვა- ანგარიშგებასთან დაკავშირებული მრავალი პრობლემა. აუცილებელია კონკურენტული საბაზრო გარემოს შექმნა და ამავდროულად საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების მნიშვნელოვნად გაფართოება. განსაზღვრულ პერიოდში, შედარებით დაბალი განაკვეთების საშუალებით, მკაცრი საგადასახადო დაბეგვრის განხორციელება გაცილებით უფრო დიდ ეფექტს გამოიღებს, ვიდრე საპირისპირო შემთხვევაში.

როგორც მე-2 თავში უკვე აღვნიშნეთ, სახელმწიფო ბიუჯეტში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სხვა შემოსავლებს. 2010 წლიდან შეინიშნება შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების ზრდა. ვფიქრობთ, უმჯობესი იქნებოდა ამ შემოსავლების კლასიფიცირება, რათა უფრო გამჭვირვალედ იყოს წარმოდგენილი ბიუჯეტში მობილიზებული თანხები. ჩვენი აზრით, სხვა შემოსავლების კუთხით არსებული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მიზანშეწონილია შემდეგი ღონისძიებების გატარება: 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში მითითებული სხვა შემოსავლების ნუსხის სრულფასოვნად და დაწვრილებით გადმოცემა; 2. სხვა შემოსავლები უნდა იქნეს დაგეგმილი წინასწარ, მეცნიერულად დასაბუთებული მოსაზრებების საფუძველზე; 3. აუცილებელია არასაგადასახადო შემოსავლების სხვა შემოსავლების ამოღებასთან დაკავშირებული კონტროლის განხორციელების ღონისძიებებისა და მეთოდების დახვეწა.

საქართველოს 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის არსებობა, თუ გავითვალისწინებთ საყოველთაოდ აღიარებულ მის ოპტიმალურ სიდიდეს მშპ-ს მიმართ, სავალალო არ არის. მითუმეტეს, რომ იგი გამოწვეულია არაფინანსური აქტივების ზრდით, მაგრამ: ერთი მხრივ შესაფასებელია თუ რა მიმართულებით დაიხარჯა ეს სახსრები, ხოლო მეორე მხრივ, რითი დაფინანსდა იგი ანუ როგორი და რამდენად რაციონალურია მისი მართვის პროცესი. ანალიზმა გვიჩვენა, რომ არაფინანსური აქტივების ზრდაში გადამწყვეტი როლი საქართველოს ეკონომიკური განვითარების, იუსტიციის, თავდაცვის, შინაგან საქმეთა, განათლებისა და მეცნიერების და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროებს განეკუთვნება. მათ წილად არაფინანსური აქტივების შემენის მოცულობაზე საერთო ზრდის 90 პროცენტზე მეტი მოდის. ცხადია, არაფინანსური აქტივების ასეთი მატება სახელმწიფო მართვის სექტორის ფუნქციონირებისა და მოსახლეობის მომსახურების საბოლოო დადებით შედეგებში აისახება.

2009 წლიდან სახელმწიფო ბიუჯეტში არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული შემოსავლები ზრდის ტენდენციით ხასიათდება.

შემოსავლები, ხარჯები და არაფინანსური აქტივების ცვლილება ბიუჯეტის მნიშვნელოვანი აგრეგატებია, რომლებიც გავლენას ახდენენ მთლიანი სალდოს

ფორმირებაზე. მათი ეფექტიანი და რაციონალური მართვა უზრუნველყოფს როგორც თითოეული მათგანის ისე მთლიანი სალდოს ოპტიმალური ოდენობების დაგეგმვას და ბიუჯეტის შესრულების ეფექტიანობას.

მიგვაჩნია, რომ უმჯობესი იქნება თუ ბიუჯეტის დაგეგმვისას დიდი წილი არ ექნება არაფინანსური აქტივების და ფინანსური აქტივების კლებისგან მიღებულ შემოსავლებს, რადგან არაფინანსური აქტივები და ფინანსური აქტივები მიღევადი ხასიათისაა, ამიტომ უმჯობესია თუ ბიუჯეტის დაგეგმვისას აქცენტი გაკეთდება ადგილობრივი წარმოების განვითარების ხელშეწყობაზე, რის გათვალისწინებაც ნელ-ნელა უკვე ხდება ბიუჯეტში. ადგილობრივი წარმოება ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. ადგილობრივი წარმოებისგან მიღებული შემოსავლები აისახება ბიუჯეტის მიმდინარე შემოსავლებში, რაც გაზრდის ბიუჯეტის შემოსულობებს, შედეგად მივიღებთ მთლიან დადებით სალდოს და აღარ დაგვჭირდება დიდი ოდენობით ვალდებულებების ზრდა.

დასკვნა

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები ქვეყნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მაკროეკონომიკური მაჩვენებელია. ბიუჯეტის შემოსულობების სწორად გადანაწილება ხელს უწყობს ბიუჯეტის შესრულების ეფექტიანობას და ქვეყნის ეკონომიკურ აღმავლობას. ბიუჯეტი ორიენტირებული უნდა იყოს არა მხოლოდ ბიუჯეტის შემოსულობების მობილიზებაზე, არამედ მის შემდგომ სწორად განაწილება-გადანაწილებაზე პრიორიტეტების მიხედვით. საქართველოს პირობებში ჯერ კიდევ აუცილებელია ბიუჯეტის ასიგნებების პრიორიტეტულობის ორიენტირება ეკონომიკისა და სოციალური სფეროს დაფინანსების გაუმჯობესებაზე, რის ტენდენციაც ნელ-ნელა უკვე შეინიშნება პროგრამული და კაპიტალური ბიუჯეტების შემუშავებით.

ბიუჯეტის შემოსულობებში დიდი ადგილი უკავია საგადასახადო შემოსავლებს. ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური წინსვლა პირდაპირ კავშირშია საგადასახადო სისტემის სრულყოფასა და ეფექტიან ფუნქციონირებასთან. თეორიულად და პრაქტიკულად გააზრებულ და მეცნიერულად დასაბუთებულ გადასახადებს და საგადასახადო სისტემას შეუძლია ეროვნულ ეკონომიკაზე დადებითი ზემოქმედება მოახდინოს. აღმოფხვრას უარყოფითი მოვლენები და დაამკვიდროს ეკონომიკურ და სამართლებრივ ბაზაზე აგებული საგადასახადო დაბეგვრა.

ეკონომიკური ზრდის მაღალი და მყარი ტემპების შესანარჩუნებლად აუცილებელია გადასახადების მეშვეობით განხორციელდეს სამამულო წარმოების საქონლისა და მომსახურების კონკურენტუნარიანობის ზრდა საწარმოო დანახარჯების შემცირებით და რეინვესტირების ხელშეწყობით.

მიკრო და მცირე ბიზნესისთვის დამატებითი შეღავათების დაწესება გარკვეულწილად გავლენას მოახდენს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე. თუ ორგანიზაციები შეძლებენ გამოქვითონ მიკრო ბიზნესის სატატუსის მქონე ფიზიკურ პირებზე გაწეული ხარჯები შემოსავლებიდან, ეს კიდევ უფრო გაზრდის მიკრო ბიზნესის მიერ წარმოებული საქონლის გასაღების ბაზარს. ასევე დიდი სტიმული იქნება მიკრო ბიზნესის განვითარებისთვის, თუ მიკრო ბიზნესს საშუალება ექნება აიყვანოს

დაქირავებით მომუშავე (მაქსიმუმ 2 კადრი). მიკრო და მცირე ბიზნესის განვითარება მნიშვნელოვნად გაზრდის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილს. თუმცა ვფიქრობთ, ასევე მიზანშეწონილი იქნება საშუალო ბიზნესის გამოყოფა და დასაბეგრი შემოსავლის შემდეგი განაკვეთით დაბეგვრა: კალენდარული წლის განმავლობაში ყოველწლიურად 200 000 ლარამდე მიღებული დასაბეგრი შემოსავლის საგადასახადო განაკვეთი განისაზღვროს 12 პროცენტით და შესაძლებელია შეღავათები გაეწიოს მიმდინარე გადასახადებების გადახდის თვალსაზრისითაც. აღნიშნული ცვლილებები უფრო მეტად ეფექტიანი ღონისძიება იქნება და ხელს შეუწყობს საშუალო ბიზნესის განვითარებას.

საგადასახადო შემოსავლების ყველაზე დიდი ნაწილი ივსება დამატებული ღირებულების გადასახადის სახით მობილიზებული სახსრებით. 2010 – 2017 წლებში დაფიქსირებულია დამატებული ღირებულების გადასახადის ზრდა, რაც მიუთითებს, რომ ქვეყანაში ვითარდება ვაჭრობის სფერო. თუმცა, მიგვაჩნია, რომ სახელმწიფოს მხრიდან ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა, ინვესტიციების განხორციელება უფრო მეტი შედეგის მომტანი იქნება და გაზრდის საქართველოს სახელმწიფოს ბიუჯეტში მიმდინარე შემოსავლებს.

დღეისათვის, საბიუჯეტო შემოსავლების წყაროა ასევე აქციზური გადასახადი და აქციზური საქონლის მოხმარების შეზღუდვისა და საქონლის მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობის რეგულირება. ამიტომ აქციზური განაკვეთის დაწესების დროს გათვალისწინებული უნდა იყოს ყველა ის ფაქტორი, რომელიც გარკვეულ ზეგავლენას ახდენს მასზე. რა თქმა უნდა, ძირითადი მიზანია მაქსიმალური სახელმწიფო შემოსავლების მიღება, მაგრამ გასათვალისწინებელია ასევე ისიც, რომ ასეთმა განაკვეთმა ან მათმა ზრდამ ხელი არ უნდა შეუწყოს არალეგალური წარმოებისა და იმპორტის ზრდას, კონტრაბანდის და კორუფციის სტიმულირებას. ნიშანდობლივია, რომ ამგვარი სცენარის განვითარების დროს წარმოებს დასაბეგრ ბაზაში მოქცეული საქონლის არაეკონომიკური ჩანაცვლება სხვა საქონლით. ამასთან, ყოველმხრივ უნდა იყოს შესწავლილი მეზობელი ქვეყნების მოქმედი საგადასახადო განაკვეთები, მოთხოვნის ელასტიურობა, მოხმარების სტრუქტურა ქვეყნის შიგნით და გადასახადის ამოღებაზე გაწეული დანახარჯების სტრუქტურა.

ქვეყანაში წარმატებული ეკონომიკის საწინდარია სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის ორმხრივი ურთერთობა, სადაც სახელმწიფო გვევლინება ეკონომიკის რეგულატორის როლში.

მცირე ბიზნესის მიმართ სახელმწიფო პოლიტიკის მთავარი მიზანი უნდა იყოს ფინანსური ნაკადების ისეთი დონით რეგულირება, რომ მცირე საწარმოებისთვისაც ხელმისაწვდომი გახდეს ფინანსური წყაროები: ბიუჯეტიდან მიზანმიმართული სუბსიდირება და მცირე საწარმოების საინოვაციო საქმიანობის ფინანსებისათვის კერძო კაპიტალის მოზიდვა.

საქართველოში ეკონომიკური ზრდის პროცესის სწრაფად წარმართვისათვის, მისი აღორძინებისა და რაც შეიძლება მეტად განვითარებისათვის მნიშვნელოვანია საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება.

ჩვენი აზრით, ინვესტიციებზე, განსაკუთრებით კი უცხოურ ინვესტიციებზე საუბრისას ყურადღება უნდა გამახვილდეს უპირატესად მრეწველობის დარგების გრძელვადიან ინვესტირებაზე. უცხოური ინვესტიციების საშუალებით მიღებული მთელი სიკეთე საქართველოში წარმოების ზრდის სამსახურში უნდა იქნეს ჩაყენებული.

ვთვლით, რომ საქართველოსათვის გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს ადგილობრივი წარმოების შემდგომი განვითარებისათვის რაც შეიძლება მეტად ხელშეწყობა, რის სამსახურშიც უნდა ჩავაყენოთ იმპორტის გადასახადი.

ჩვენი აზრით, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საბაჟო კანონმდებლობის სრულყოფაა, რადგან ამ ღონისძიების საშუალებით გახდება შესაძლებელი მისი წინამდებარე პუნქტების რეალობაში მოყვანა. სწორედ საბაჟო კანონმდებლობის სრულყოფა მისცემს სახელმწიფოს საშუალებას გაატაროს რაც შეიძლება მეტად ეფექტიანი საბაჟო პოლიტიკა, რამაც შემდგომში ხელი უნდა შეუწყოს სამამულო წარმოების განვითარებას და შესაბამისად ქვეყნის ეკონომიკის განვითარებასაც.

ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ქვეყანაში არსებული საექსპორტო შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენა და ექსპორტის სასაქონლო სტრუქტურაში არსებული საქონლის მრავალფეროვნების ზრდა. საბაჟო ტარიფის დადგენისას საქართველომ უნდა შეძლოს ადგილობრივი მეწარმეების ინტერესების მაქსიმალურად დაცვა. თუ ამის განხორციელება მოხერხდება, მივიღებთ ლოგიკურ შედეგს: ერთი მხრივ შეიქმნება

ადგილობრივი წარმოების განვითარების ხელშემწყობი პირობები მისი მასშტაბების ზრდისათვის, ხოლო მეორე მხრივ, გაიზრდება საგადასახადო შემოსავლების სახით ბიუჯეტში მიღებული თანხები.

ჩვენი აზრით, ამ ღონისძიებების გატარება საბოლოო ჯამში აზრს დაკარგავს, თუ ქვეყნის ხელისუფლება არ გამოიჩენს ძალისხმევას და არ მოახდენს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების გაფართოებას, სადაც უპირატესობა მიენიჭება ჩვენი ქვეყნის პროდუქციის საერთაშორისო ბაზარზე რეალიზაციის მხარდაჭერას, რაც გზას გაუკვლავს საქართველოს სამრეწველო პროდუქციისა და მთლიანად მრეწველობის განვითარებას. აგრეთვე საჭიროა გაჩერებულ საწარმოთა ამოქმედება, რომლებიც წლების მანძილზე უმოწყალოდ ნადგურდებოდა. საჭიროა მცირე ბიზნესის განვითარებისათვის ხელის შეწყობა, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილს.

მართალია საგადასახადო განაკვეთების შემცირება, ასევე საგადასახადო შეღავათების სისტემის გაფართოება პირველ ხანებში გამოიწვევს ბიუჯეტში შემოსავლების შემცირებას, მაგრამ მომავალში მეწარმეთა და დაქირავებულ პირთა დაინტერესების მატებით და ეკონომიკური აქტივობის გაძლიერებით შესაძლებელია ბიუჯეტში შენატანთა ზრდა. ამდენად, შემოსავლების გარკვეული ნაწილის ამოუღებლობით, ბიუჯეტს მომავალში ერთიორად შეუძლია მისი შევსება.

ჩვენი აზრით, მეწარმეობის განვითარების უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს არა მხოლოდ გადასახადების განაკვეთების რეგულირება, არამედ თვით დასაბეგრი ობიექტების წრის გაფართოება და ხელსაყრელი ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის შექმნა. ამიტომ აუცილებელ გამოსწორებას საჭიროებს აღრიცხვა- ანგარიშგებასთან დაკავშირებული მრავალი პრობლემა. აუცილებელია კონკურენტული საბაზრო გარემოს შექმნა და ამავდროულად საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების მნიშვნელოვნად გაფართოება. განსაზღვრულ პერიოდში, შედარებით დაბალი განაკვეთების საშუალებით, მკაცრი საგადასახადო დაბეგვრის განხორციელება გაცილებით უფრო დიდ ეფექტს გამოიღებს, ვიდრე საპირისპირო შემთხვევაში.

ბიუჯეტის შემოსულობების ერთი-ერთი წყაროა სხვა შემოსავლები, რომელიც მოიცავს ბუნდოვან შემოსავლებს, „მერეული და სხვა არაკლასიფიცირებული

შემოსავლები“. ვფიქრობთ, უმჯობესი იქნებოდა ამ შემოსავლების კლასიფიცირება, რათა უფრო გამჭვირვალედ იყოს წარმოდგენილი ბიუჯეტში მობილიზებული თანხები. ჩვენი აზრით, სხვა შემოსავლების კუთხით არსებული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მიზანშეწონილია შემდეგი ღონისძიებების გატარება: 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში მითითებული სხვა შემოსავლების ნუსხის სრულფასოვნად და დაწვრილებით გადმოცემა; 2. სხვა შემოსავლები უნდა იქნეს დაგეგმილი წინასწარ, მეცნიერულად დასაბუთებული მოსაზრებების საფუძველზე; 3. აუცილებელია სხვა შემოსავლების ამოღებასთან დაკავშირებული კონტროლის განხორციელების ღონისძიებებისა და მეთოდების დახვეწა.

ბიუჯეტის შემოსულობებში ჯერ კიდევ მნიშვნელოვან როლს ასრულებს ფინანსური აქტივების და არაფინანსური აქტივების კლების შედეგად მიღებული შემოსავლები. 2011-2017 წლებში დეფიციტის დასაფინანსებლად კვლავ იქნება გამოყენებული ფინანსური აქტივების შემცირებისა და ვალდებულებების ზრდის შედეგად მიღებული სახსრები, თუმცა მათი ოდენობები ყოველწლიურად შემცირდება, რაც დადებითად უნდა შეფასდეს. ასეთი დადებითი ტენდენციები განპირობებული იქნება ეკონომიკის განვითარებაში მოსალოდნელი დადებითი ცვლილებებით. კერძოდ, საკმარისია აღინიშნოს ქვეყნის მშპ-ის, ინვესტიციების, მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ის მოცულობის ზრდის ტენდენციები 2011-2017 წლებში.

საქართველოს ფისკალურ პოლიტიკაში და, კერძოდ, ბიუჯეტის შემოსულობების ფორმირებასა და გამოყენებაში 2011-2014 წლებისათვის შეინიშნება დადებითი ტენდენციები, მთლიანობაში მისი მართვის პროცესები, ვფიქრობთ მაინც საჭიროებს სრულყოფასა და რაციონალიზაციას. კერძოდ: საჭიროა ქვეყნის საინვესტიციო პოლიტიკის კიდევ უფრო გააქტიურება, რათა მშპ-ის ზრდა რეალურად უზრუნველყოფილი იქნას რეალური სექტორის განვითარების დაჩქარების გზით. ამ მიზნით აუცილებელია ბიუჯეტიდან არა მხოლოდ გაიზარდოს, არამედ მოხდეს არაფინანსური აქტივების ზრდის ასიგნებების გადანაწილება რეალური სექტორის დარგებზე.

გამოყენებული ლიტერატურის სია:

1. ბიწაძე ვ. საბიუჯეტო ექსპანსიის რეგულირების მეთოდები // ჟურნალი გადასახადები. - 2002. ივლისი.
2. ბიუჯეტი და ხაზინა გუშინ, დღეს, ხვალ... ხორგუაშვილი თ. გორი, 2009 წ.
3. გენეტაძე ლ. ფინანსების ზოგადი თეორია (სალექციო კურსი ბაკალავრიატისათვის), თბილისი, 2007.
4. დარგობრივი ეკონომიკის და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის სხდომის ოქმი №12. 2010 წ. 10 ნოემბერი.
5. იაკობიძე დ., საქართველო და მსოფლიო ფინანსური კრიზისი, თბილისი, ~კომენტარი~, 2009.
6. კაკულია ე. მცირე ბიზნესის განვითარების მაკროეკონომიკური რეგულირების მექანიზმი. დისერტაცია. თბილისი, 2006 წ.
7. ლოლაძე ნ. საქართველოს სტრატეგიის და საერთაშორისო განვითარების კვლევის ფონდი. „საბიუჯეტო თავისუფალი“ 2011 წ.
8. მაკროეკონომიკა (ლექციების კურსი, ტესტები, სავარჯიშოები), თეუსუ თბილისი, 2008 წ.
9. მაცაბერიძე მ. „აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსები“ №3 გვ.38 2009წ.
10. მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, თბილისი, 2000.
11. მთავრობის ანგარიში `საქართველოს 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ`, თბილისი, 2009 წლის აპრილი.
12. მთავრობის ანგარიში `საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ`, თბილისი, 2010 წლის აპრილი.
13. მთავრობის ანგარიში `საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ`, თბილისი, 2011 წლის აპრილი.
14. მთავრობის ანგარიში `საქართველოს 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ`, თბილისი, 2012 წლის აპრილი.
15. პაპავა ლ., `რა ნაკლი აქვს მთავრობის საამაყო ბიუჯეტს`, გაზეთი მთელი კვირა~, #93, 7 აპრილი 2008.

16. პაპავა ლ., `ფასების ზრდის ტენდენცია ისევ შენარჩუნდება` ეკონომიკური კრიზისი და საქართველო, ჟურნალი `გზა`, #13, 27 მარტი, 2008.
17. პარლამენტში ფინანსთა მინისტრის მოხსენება. თბილისი, 2011. 22 მარტი
18. ჭიჭინაძე ნ. „2011 წლის ბიუჯეტში ადმინისტრაციული ხარჯები იზრდება“ „ბანკები და ფინანსები“, 28 ოქტომბერი, 2010 წ.
19. საქართველოს კანონი `საქართველოს 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ`, თბილისი, 2010 წლის დეკემბერი.
20. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, თბილისი, 2009 წლის 18 დეკემბერი.
21. საქართველოს საბიუჯეტო სისტემა : გზამკვლევი - ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველო“ 2007 წ.
22. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, თბილისი, 2010 წლის 17 სექტემბერი.
23. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, თბილისი, 2004 წლის 22 დეკემბერი.
24. საქართველოს საბაჟო კოდექსი, თბილისი, 2006 წლის 25 ივლისი.
25. სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის 2001 წლის მეთოდოლოგია, სსფ, თბილისი, 2006.
26. საქართველოს პარლამენტის აპარატი, კვლევითი დეპარტამენტი, ანალიტიკური განყოფილება. თბილისი, 2009 წ.
27. ტერაშვილი ნ.. „საბიუჯეტო შემოსავლების ზრდის რეზერვები“. ჟურნალი „გადასახადები“. დეკემბერი, 2001 წ.
28. ქავთარაძე ნ. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების ზრდის ძირითადი მიმართულებები. დისერტაცია, თბილისი, 2008 წ.
29. ყირიმლიშვილი ნ., ფინანსები, თბილისი, 2005.
30. ჯღარკავა ლ.. „საგადასახადო სისტემის სრულყოფის ზოგიერთი საკითხი“. ჟურნალი „გადასახადები“. მარტი, 2004 წ.

ინტერნეტმასალები:

1. <http://mof.ge/>
2. <http://rs.ge/>
3. <http://geostat.ge/>

4. www.pbo.parliament.ge/
5. www.parliament.ge
6. <http://www.scribd.com/doc/40485280>
7. <http://en.wikipedia.org/>
8. <http://www.budget.gov>.